# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 ნოემბერი 2002 №227 (1749) | ფასი 50 თეთრი



ბადრი ქითილაძის ფოტო

დინამო — ტორპედო 0:0. თბილისელი რატი ალექსიძის ამ მოხდენილ დარტყმას ქუთაისელთა მეკარე ზვიად სტურუა იოლად გაუმკლავდა

# შუშაკმა შტელინს ქართულად აკოცა, მილანმა მეშკოვს ქართულად აგინა

„ლოკომოტივიც" და „ვიტ ჯორჯიაც", მაგრამ ჩემპიონობის უპირველესი მაძიებლები ისევ „დინამო" და „ტორპედო" არიან.

საქართველოს ორად ორი ჩემპიონი გუშინდელ შეხვედრაში მშვიდობიანად და უგოლოდ კი გაიყარა, მაგრამ მათ დაპირისპირებას უომრად, აბა, როდის ჩაუვლია. მწვრთნელებმა თამაშში მთელი ცოდნა ჩადეს, ფეხბურთელებმა გული ჩააქსოვეს და მოსაწყენი რატომ იქნებოდა. და თუ რამ აკლდა, მხოლოდ გოლები.

მაშინ, როცა თბილისური მატჩის შემდეგ ივო შუშაკმა და ალექსანდრ შტელინმა ერთმანეთი გულიანად გადაკოცნეს, გურჯაანში, სადაც „მილანმა" „მერანს" უმასპინძლა, მილანელებმა მსაჯებს მუშტი და მუქარა გასცხეს.

მსაჯებმა „მილანს" გოლი არ ჩაუთვალეს და სწორადაც მოიქცნენ — თავად მილანელებმა აღიარეს, უეჭველი თამაშგარე იყოო, მაგრამ... თვალი დაგეხუჭათ და ცემაც აგცდებოდათ და ფეხების მომტვრევის მუქარაცო.

საქართველოში, სადაც დღისით, მზისით, ხალხს ქუჩაში ხოცავენ, გამკითხავი არ ჩანს, ჰოდა, აქამდე არაერთხელ მომხდარი ამგვარი ცემა და გინე"ა დავიწყებას რომ მისცემია, რა გასაკვირია.

იხილეთ მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე გვერდები



REUTERS

რომა — არსენალი 1:3. ტიერი ანრიმ საგოლედ სამჯერ შეიკუნტრუშა

# მესტალია ცუდი სასტუმროა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## უგულოდ და ანგულოთი მასპინძლობენ

რა მოხდებოდა, ვალენსიელ მიგელ ანგულოს წამატებულ წუთზე „აიაქსისთვის" რომ ვერ გაეტანა? მისი გუნდი რომ დამარცხდებოდა, თავისთავად ცხადია, მაგრამ ამასთანავე გუშინდელ ოთხივე სალიგო მატჩს სტუმრები მოიგებდნენ – უბრალოდ საინტერესო ფაქტი იქნებოდა.

ალბათ, არანაკლებ აღსანიშნავია მარკ ოვერმარსის გვიანი გოლიც, რაკი ბარსელონელს ლამის ნახევარი წელი გაუცდა და ახლახან დაბრუნებულმა „ლევერკუზენს" კატალონიელთა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებისა გაუტანა.

რომში სულაც ჰეთ თრიქი შეასრულა ტიერი ანრიმ, ხოლო ინტერელ ერნან კრესპოს ერთი გოლიც ეყო, ფილიპო ინძაგისთვის ლიგის მთავარმეგოლეობის ჩამოსართმევად.

არ იქნება, ნიუკასლელი კრეიგ ბელამიც არ ვახსენოთ, რომელმაც მეხუთე წუთზევე გააძევებინა თავი და წლევანდელ ლიგაში ეს მისი მეორე წითელი ბარათია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. I ტური

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**ლევერკუზენი 1:2 ბარსელონა**

1:0 ბერბატოვი (39), 1:1 სავიოლა (46), 1:2 ოვერმარსი (88)
რიკელმემ ვერ გაიტანა პენალტი (60, მეკარე)
ლევერკუზენი: ბუტი, ზივკოვიჩი, ლუსიო, რამელოუ, პლასენტე, ბაბიჩი (ბიროგლუ 66), ბალიტში, ბაშტურქი, შნაიდერი, ბერბატოვი (შიმაკე 83), ბრდარიჩი (ნოიფილე 55)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, პუიოლი, ფ. ნავარო, მენდიეტა (სავიოლა 46), ხავი, კოკუ, გაბრი (რიკელმე 46), როხემბაკი, მოტა (ოვერმარსი 75), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
22 500 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:4 ინტერი**

0:1 მორფეო (2), 0:2 ალმეიდა (35), 0:3 კრესპო (45), 1:3 სოლანო (72), 1:4 რეკობა (81)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, დაბიზასი, ჰიუზი (კოლდუელი 86), სოლანო, დაიერი, სპიდი, ვიანა (რობერი 46), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი (კორდობა 15), პასკუალე, მორფეო, ალმეიდა, ემრე, ოკანი (დალმა 66), ვიერი, კრესპო (რეკობა 80)
მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი
გაძევება: ბელამი (5)
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
50 108 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

### B ჯგუფი

**რომა 1:3 არსენალი**

1:0 კასანო (4), 1:1, 1:2, 1:3 ანრი (6, 70, 75)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კანდელა, ლიმა (ბატისტუტა 72), ემერსონი, კაფუ, ტოტი, დელვეკიო (გიგუ 57), კასანო (მონტელა 64)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
არსენალი: შააბანი, ლუზი, კემპბელი, სიგანი, კოული, ლიუნგბერგი (ედუ 90), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 79), ანრი, ვილტორდი (კეოუნი 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
70 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 აიაქსი**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (88), 1:1 ანგულო (90)
ვალენსია: კანიზარესი, კურო ტორესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი (აურელიო 75), ანგულო, ალბელდა (დე ლოს სანტოსი 84), ბარახა, ვისენტე, კარეუ, მისტა (ხუან სანჩესი 67)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
აიაქსი: დიდულიკა, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კივუ, მაქსველი, გალაშეკი, პიენაარი (დე იონგი 72), ვან დერ ვაარტი, ლიტმანენი (იბრაჰიმოვიჩი 60), ვან დერ მეიდე, მიდო (ბუხარი 86)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
მსაჯი: ჟილ ვესიერ (საფრანგეთი)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| აიაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რომა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |


REUTERS ნიუკასლიდან
ნიუკასლელებს ბოლო ალვარო რეკობას ამ დარტყმამ მოუგო


REUTERS ნიუკასლიდან
ნიუკასლელ კრეიგ ბელამის მოედანი ატირებულს დაატოვებინეს




REUTERS ვალენსიიდან
ვალენსიელმა მიგელ ანხელ ანგულომ აიაქსელი ზლატან იბრაჰიმოვიჩის გატანილი ორ წუთში გაქვითა


REUTERS ლევერკუზენიდან
ლევერკუზენი — ბარსელონა. ხუან რომან რიკელმეს ჰანს-იორგ ბუტმა პენალტი არ დაანება

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ჰოფენჰაიმი 3:0 ზიგენი

### ინგლისი
I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ნოტინგემი 3:2 ბრაიტონი
ასოციაციის თასი. I ეტაპი
ბარტონი 2:2 დ.დ.(პენ.4:5, 1:1) ოლდემი

### შვეიცარია
B ჯგუფი
გადადებული მატჩები
კონკორდია 0:3 ივერდონი
ლოზანა 1:2 ბადენი
ვოლენი 0:1 სიონი

### საბერძნეთი
თასის 1/16 ფინალი
დიმიტრიოსი 2:2 იგალეო

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. C ჯგუფი

## ლოკომოტივი 1:2 დორტმუნდი

მოსკოვი. „ლოკომოტივი“. 20 000 მაყურებელი. მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

1:0 იგნაშევიჩი (31), 1:1 ფრინგსი (33), 1:2 კოლერი (43)

| | |
|---|---|
| ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ევსეევი, მამინოვი (ობრადოვიჩი 46), ლოსკოვი, ობიორა (ბუზნიკინი 64), პიმენოვი (ბაბა ადამუ 74) მწვრთნელი: იური სიომინი | ლემანი, მეცელდერი, ვიორნსი, როიტერი, კელი (მადუნი 89), ჰაინრიხი, დედე, ფრინგსი, როსიცკი (რეინა 90), კოლერი, ევერტონი (რიკენი 82) მწვრთნელი: მათიას ზამერი |

ჯარიმა: 17-11; კუთხური: 8-9; კარისკენ დარტყმა: 7-10; კარში დარტყმა: 3-4; თამაშგარე: 0-9



იან კოლერმა თბილად ჩაიცვა და გაიხარა

## აბა, უფრთხოდნენ კიდევ

**ძალიან** კი უნდოდათ რუსებს, ლოკომოტივის ახალ სტადიონზე 2000 წლის „სპარტაკ“ — „არსენალი“ გამეორებულიყო, საამისოდ თითქოს ყველა „პირობაც“ შექმნილი იყო: გახევებული მინდორი, აუტანელი ყინვა და რუსეთის მოგებული პრემიერლიგა. მათიას ზამერიც მოსკოვში ჩასვლისთანავე რუსთა ჩემპიონის ძალასა და საკუთარი გუნდის სისუსტეებზე ალაპარაკდა. ამას „ლოკოს“ თავკაცის, იური სიომინის ოპტიმიზმიც უნდა დავუმატოთ. იური პავლიჩი ფიქრობდა, რომ ზამერის გუნდი ბუნდესლიგაში კარგად ვერ გამოიყურება და ამის გამო აუცილებლად ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იქნებოდა. ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად ანუ დორტმუნდელთა სასარგებლოდ დასრულდა. გერმანიის ჩემპიონებს რომ „ლოკომოტივზე“ მაღალი კლასი აქვთ, საიდუმლო არ არის და სწორედ კლასი და დისციპლინა გახდა საკმარისი რუსული კლუბის დასაჩოქებლად.

ყველაფერი კი „ლოკომოტივის“ იერიშებით დაიწყო. ბორუსიელები, პირველ წუთებში, სანამ უჩვეულო პირობებს შეეგუებოდნენ, ხშირად ცდებოდნენ. განსაკუთრებით დაცვის ცენტრში გამწესებული როიტერი სცოდავდა. სწორედ გერმანელთა დაცვის შეცდომა ვერ გამოიყენა პირველივე წუთებზე ჯეიმს ობიორამ.

ნიგერიელის გაცუდებული მომენტის შემდეგ ლემანს სახიფათოდ პიმენოვმა დაურტყა. საერთოდ კი, პირველ ნახევარ საათში რუსების სათამაშო უპირატესობა იგრძნობოდა, რაც იგნაშევიჩის გოლში აისახა. რუსლან პიმენოვმა სამი გერმანელის გარემოცვაში ბურთი არ დაკარგა და ლემანის საჯარიმოში შეჭრილ იგნაშევიჩს მიუგორა.

გახარებული რუსები მიწაზე ტორსტენ ფრინგსმა დააბრუნა. საპასუხო გოლი ჩვეულებრივი გამოდგა — ფლანგიდან ჩაწოდება, რუსთა მცველების პოზიციური შეცდომა და ფრინგსის თავური.

ეს გოლი გარდამტეხი აღმოჩნდა. „დორტმუნდმა“ თამაშის სადავეებს საბოლოოდ ჩაავლო ხელი და მსაჯის საფინალო სასტვენამდე აღარ გაუშვია. გააქტიურებული გერმანელები რომ კიდევ გაიტანდნენ, თვალნათლივ ჩანდა.

მეორე გოლი „ლოკომოტივის“ კარში ტაიმის მიწურულს გავიდა. რუსთა ახალგამოცხვარი ჩემპიონი ჩეხმა იან კოლერმა გაამწარა. სხვათა შორის, მატჩამდე რუსული მედია განსაკუთრებით სწორედ ჩეხ გიგანტს უფრთხოდა და „ლოკოც“ საგანგებოდ ცდილობდა, მოუხეშავი კოლერი მაღალ ბურთებამდე არ მიეშვა, თუმც კოლერმა სამი ქულის მომტანი გოლი ორიოდე მეტრიდან, ფეხით, მაინც გაიტანა. ეს გოლი კი ბრაზილიელმა დედემ შექმნა. დედემ ევსეევი გააბითურა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც ბურთს კოლერის გრძელი ფეხი მისწვდა.

პირველ ნახევარში თამაშიდან გამომდინარე, რუსებს მატჩის სათავისოდ შემოტრიალების ნაკლები შანსი უნდა ჰქონოდათ, ასეც მოხდა. დორტმუნდელები მშვიდად აკონტროლებდნენ თამაშის მსვლელობას, სიომინის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა კი ვერაფერი შეცვალა.

**სერგი ძორიძე**

## მილანი 1:0 რეალი

მილანი. „სან სირო“. 85 000 მაყურებელი. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

1:0 შევჩენკო (40)

| | |
|---|---|
| დიდა, შიმიჩი (შამოტი 90), კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, ზეედორფი, ამბროზინი, რუი კოშტა (სერჟინიო 76), შევჩენკო (ტომასონი 82), რივალდო მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო (სოლარი 76), სელადესი, ზიდანი, რაული, მორიენტესი (პორტილიო 78) მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე |

ჯარიმა: 19-13; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 8-4; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 3-2

## გადამყიდველთა ოცნების მატჩი

**თამაშის** დღეს, დილიდან, მილანი პარალიზებული იყო. არა, ფეხბურთი არაფერ შუაშია — ქალაქი, რომელიც იქამდეც მთელი ორი კვირა წვიმით იტბორებოდა, სულ მთლად დაიტბორა. ლამის სტიქიურ უბედურებაზე დაიწყეს ლაპარაკი. მილანის ზოგ უბანში ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, მეტროს ერთი სადგური კი დატბორვის გამო დახურეს. ქომაგებმა, ცხადია, ნერვიულობა დაიწყეს — გაუძლებს თუ არა, „სან სიროს“ გაზონი ამდენ წყალსო. სტადიონის თანამშრომლები კი ამაყად იღიმებოდნენ — სადრენაჟო სისტემის სრული იმედი ჰქონდათ.

და საერთოდ, როგორ შეიძლებოდა გადაედოთ თამაში, რომელსაც წილისყრის დროიდან მოუთმენლად ელოდნენ? როგორც კი გაირკვა, რომ „მილანს“ მეტოქედ „რეალი“ ერგო, ბილეთებზე გაშმაგებული ნადირობა დაიწყო. სილვიო ბერლუსკონის კლუბმა უსწრაფესად გაყიდა 66 587 მინი-აბონემენტი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის სამივე საშინაო მატჩზე დასწრების უფლებას იძლევა. აბონემენტების ყიდვისას უპირატესობა, ცხადია, ჩემპიონატის სეზონური აბონემენტების 50 ათას ბედნიერ მფლობელს ჰქონდა. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სან სიროზე“ ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას 75 ათასი მაყურებლის ჭოჭნაა ნებადართული, ადვილად წარმოსადგენია, როგორი თავპირისმტვრევა იყო თავისუფალ გაყიდვაში გამოტანილი რვა ათასი ბილეთისთვის. გადამყიდველებმა, შაბათის მილანური ღერბის მსგავსად, გვარიანად მოითბეს ხელი. აღნიშნული რვა ათასი ბილეთის უმეტესი ნაწილი ელვის სისწრაფით სადღაც გაქრა, ხოლო როცა ისევ გამოჩნდა, ნომინალზე 5-10-ჯერ უფრო ძვირი ღირდა. არანაკლები ამბავი ხდებოდა აკრედიტაციებზე — „სან სიროს“ პრეს-ლოჟა 250 ჟურნალისტს იტევს და 800 განაცხადი კი შევიდა.

ახლა თავად მატჩზე გადავიდეთ, თუმც ჯერ იმასაც შეგახსენებთ, რომ ორივე სუპერკლუბი ვადამდე გავიდა მეორე ეტაპზე, თუმც ბოლო სალიგო მატჩებით ქომაგები ვერ გაახარეს. „მილანმა“ ორი სალიგო თამაში წააგო, ხოლო „რეალმა“ პირველი ეტაპის ბოლო ოთხი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო, რაც „სამეფო კლუბს“ აქამდე არასდროს დამართნია.

„მილანის“ სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, რვა გოლის გამტანი ფილიპო ინძაგი. კარლო ანჩელოტიმ მისი ადგილი ანდრეი შევჩენკოს ანდო და არც შემცდარა — უკრაინელი სუპერფორვარდი, ვის თამაშშიც თავიდან თითქოს სათამაშო პრაქტიკის უქონლობა იგრძნობოდა, თანდათან ისე გალაღდა, მატჩის ყველაზე სახიფათო მოთამაშე იყო.

თუმც პირველი ჩინებული მომენტი კლარენს ზეედორფმა შექმნა. ჰოლანდიელმა მეორე წუთზე საჯარიმო მოედნის გარედან მზაკვრულად გაისროლა და იკერ კასილიასს ბრწყინვალე ნახტომის შესრულება მოუხდა. ანდრეი შევჩენკომ, რომლის საგოლე პოზიციაზე გაყვანასაც მილანელები მთელი მატჩის მანძილზე ლამობდნენ, კასილიასის კარს პირველად დაწყებიდან თხუთმეტიოდ წუთში დაემუქრა: ჯენარო გატუზოსგან საჯარიმოს ცენტრში ფლანგური პასი მიიღო და ბრუნში მარჯვედ დასცხო — ოღონდ, არც მთლად მარჯვედ, რაკი ბურთმა ძელის სიახლოვეს ჩაიფრინა.

მასპინძლები უფრო მეტად ფლობდნენ ბურთს, ხოლო „რეალი“ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. სტუმართა ერთ-ერთი გამოხტომა გოლითაც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ზინედინ ზიდანის პასით დიდასთან პირისპირ შეჭრილმა ფერნანდო მორიენტესმა იმდენი მოახერხა, რომ ბურთი მეკარეს გაარტყა.

კაცმა რომ თქვას, ნაღდი საგოლე მომენტები რასაც ჰქვია, არც ისე ბევრი იყო, თუმც, მიუხედავად ამისა, წვიმიან თამაშში გუნდებმა ბოლომდე შეინარჩუნეს სწრაფი ტემპი, მრავალსვლიანი თითო შეხებით გაკეთებული კომბინაციებით.

პირველი ტაიმის ბოლოსკენ „რეალმა“ თამაში გაათანაბრა და ბურთიც ხელთ იგდო — „მილანის“ კონტრიერიშების ჯერი დადგა, რამაც მასპინძლები გოლამდე მიიყვანა: მე-40 წუთზე მანუელ რუი კოშტამ ცენტრალური წრიდან უგრძელესი და უზუსტესი პასი გაუჭრა შევჩენკოს. უკრაინელმა მეურვე ახლოს არ გაიკარა, საჯარიმოში შეიჭრა და სანამ კასილიასი ფეხებში ჩაუვარდებოდა, იქამდე დაარტყა.

მეორე ტაიმში „მილანიც“ და „რეალიც“ გამალებით უტევდა, მაგრამ მაყურებელმა გოლი ველარ ნახა. უფრო სწორედ, ბურთმა კარის ხაზი კი გადაკვეთა, მაგრამ არ ჩაითვალა: საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე ზიდანმა დიდას საჰაერო ბრძოლა მოუგო, ბურთი რაულს გადააბარა, მან კი მცველთან ჭიდილში მოახერხა და გაიტანა. „სან სიროს“ გასახარად არბიტრმა ურს მაიერმა იქ თამაშის წესების დარღვევა შენიშნა, რაც, იმ ალიაქოთში გვარიანად ძნელი შესამჩნევი გახლდათ.

ისე, ერთ მომენტში თანამსაჯმა შევჩენკოს სახიფათო გარღვევა ალმის მცდარად აწევით შეაჩერა.

მატჩის თაობაზე კახა კალაძის კომენტარი გუშინვე გააზლეთ და ქართველზე მხოლოდ ის გავიმეოროთ, რომ ლუიშ ფიგუს მეურვეობას ბრწყინვალედ გაართვა თავი და პორტუგალიელი აიძულა, „მილანის“ კარის გასაღები დარიო შიმიჩზე მიბარებული ფლანგიდან ეძებნა.

ამგვარად, „რეალის“ მეხუთე სტუმრობა „სან სიროზე“ მეხუთე მარცხით დასრულდა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |



რუი კოშტამ ანდრეი შევჩენკოს ისეთი პასი გაუჭრა, ვერგაიტანა ცოდვა იყო

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. D ჯგუფი

## ბაზელი 1:3 მანჩესტერი

ბაზელი. „სენტ იაკობი". 29 501 მაყურებელი. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

1:0 ხიმენესი (1), 1:1, 1:2 ვან ნისტელროოი (62, 63), 1:3 სოლსკიაერი (68)

| | |
|---|---|
| ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ერგიჩი (ბარბერისი 84), კანტალუპი, ჩიპერფილდი (ტუმი 73), ჰ. იაკინი, ხიმენესი, როსი (დურუზი 84) მწვრთნელი: კრისტიან გროსი | ბარტეზი, ფ. ნევილი, ოში, ბრაუნი (მეი 90), სილვესტრი, სოლსკიაერი (ჩედვიკი 90), ვერონი, ფორჩუნი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროოი (ფორლანი 73) მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი |

ჯარიმა: 9-13; კუთხური: 9-5; კარისკენ დარტყმა: 6-4; კარში დარტყმა: 8-6; თამაშგარე: 6-4



REUTERS ბაზელიდან

რუუდ ვან ნისტელროომ პირველი გოლისას ცუბერბიულერს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა

# მანჩესტერელი გუცაევი ბაზელში

**რუუდ ვან ნისტელროოის** მიერ ერთ წუთში გატანილმა ორმა გოლმა, რომელთაც ოლე გუნარ სოლსკიაერმა მალევე მესამეც დაამატა, ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედს" „ბაზელთან" თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალებინა და სამი ქულა მოაპოვებინა. თავიდან კი, არგენტინელი თავდამსხმელის, კრისტიან ხიმენესის წყალობით, რომელმაც 31-ე წამზე გახსნა ანგარიში, შვეიცარიელები დაწინაურდნენ.

„პერიოდულად გვიმართლებდა — თქვა მატჩის შემდეგ ინგლისური გუნდის შოტლანდიელმა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა — ყველაფერი გოლებმა შეცვალა, ასეთი რამ უამრავჯერ მინახავს. ანგარიშის გახსნამ მასპინძლები გააყოჩაღა, მაგრამ ჩვენმა პირველმა გოლმა ისინი კვლავ საწყის მდგომარეობაში დააბრუნა."

საინტერესოა, რომ ამ სეზონში „ბაზელი" მესამედ გადაეყარა ბრიტანელებს. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების წინა ეტაპებზე მან „სელტიკსაც" აჯობა და „ლივერპულსაც", მაგრამ მესამე საფეხურის გავლა, როგორც ჩანს, გაუძნელდება. ამასთან, ეს გახლდათ პირველი საშინაო შეხვედრა, რომელიც ამ გუნდმა სექტემბრის მერე წააგო და ბარემ აქვე დავამატოთ ისიც, რომ „ბაზელი" გახდა პირველი შვეიცარიული გუნდი, რომელმაც ლიგაში მეორე ჯგუფურ ეტაპს მიაღწია.

„მანჩესტერს", მოგეხსენებათ, ამ შეხვედრის წინ საუკეთესო მცველები გამოაკლდნენ, შვეიცარიაში ვერ წავიდნენ ლორან ბლანი, გარი ნევილი და რიო ფერდინანდი, რის გამოც სწრაფად მორბენალი მასპინძელი თავდამსხმელები მის კართან გვარიან ხიფათს ქმნიდნენ და ფრანგ მეკარეს, ფაბიენ ბარტეზს, გვარიანი ოსტატობის გამოვლენა მოუხდა.

„რაღ უნდა ლაპარაკი, რომ შეხვედრა ვან ნისტელროოიმ მოგვაგებინა — განაგრძო ფერგიუსონმა — მას მომენტების დაგვირგვინების ჩინებული უნარი აქვს და მე, კაცმა, რომელიც ყოველდღე უყურებს როგორ ვარჯიშობს რუუდი, ვიცი, რა შეუძლია მას და რა არა. დღეს მისი ოსტატობა თვალსაჩინოდ გამოჩნდა."

მოგეხსენებათ ისიც, რომ „იუნაიტედს" არ ჰყავდა წამყვანი ნახევარმცველები, როი კინი, დევიდ ბექჰემი და ნიკი ბათი, ასე რომ, ინგლისელებს ჰოლანდიელის შთაგონებულმა თამაშმა დიდი საქმე გაუკეთა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი კი ვან ნისტელროოის მეორე გოლია: თავდამსხმელმა, მარცხენა ფრთაზე დიდებული დრიბლინგით მიაღწია მეკარისგან მარცხენა ძელის სიახლოვეს და ძალიან მახვილი კუთხიდან შორეულ ძელთან შეაგდო ბურთი — შედარებით ასაკოვან ქომაგებს ეხსომებათ თბილისის დინამოელი ვლადიმერ გუცაევის ასეთივე გოლი 1978 წლის საჩემპიონო სეზონის ბოლო მატჩში, მოსკოვის „ტორპედოს" კარში.

„ბაზელის" მწვრთნელი კრისტიან გროსი: „ჩვენ მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო და ეს რომ მოგვეხერხებინა, სულ სხვა თამაში იქნებოდა, მაგრამ ბარტეზი ბრწყინვალე იყო. ამის შემდეგ კი „იუნაიტედმა" ძალა აჩვენა. არადა, თამაში ჩინებულად დავიწყეთ, საკუთარი თავის გვწამდა. ვიმეორებ, ჩვენი მინუსი ის იყო, რომ მეორე გოლი ვერ გავიტანეთ, ხოლო როდესაც ტემპი გაიზარდა და ფუსფუსმა იმატა, გაგვიჭირდა. საერთოდ, ჩვენ დამარცხებას ვერ ვიტანთ, ამიტომ ახლა ხასიათის გამოცდა გველის."

## დეპორტივო 2:2 იუვენტუსი

ლა კორუნია. „რიასორი". 30 000 მაყურებელი. მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

1:0 ტრისტანი (9), 2:0 მაკაი (11), 2:1 ბირინდელი (38), 2:2 ნედვედი (57)

| | |
|---|---|
| ხუანმი, სკალონი, სეზარი, რომერო, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი (ამავისკა 77), დუშერი, ტრისტანი (ლუკე 64), მაკაი (ვიქტორი 62) მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა | ბუფონი, ტურამი, იულიანო, მონტერო, ბირინდელი, დავიდსი, ტაკინარდი, კამორანეზი (ძამბროტა 75), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ზალაიეტა 75) მწვრთნელი: მარჩელო ლიპი |

ჯარიმა: 23-34; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 4-1; კარში დარტყმა: 8-6; თამაშგარე: 4-11

„დეპორტივოს" თავკაცი ხავიერ ირურეტა:

„თამაში ჩინებულად დავიწყეთ, ორი გოლი გავიტანეთ და მესამეს გატანაც შეგვეძლო, მაგრამ სამწუხაროდ რიტმი დავკარგეთ, რის გამოც მოწინააღმდეგეს გონს მოსვლის საშუალება მივეცით. გადამწყვეტი როლი „იუვეს" ფეხბურთელთა უზადო ფიზიკურმა მომზადებამ ითამაშა. გული მწყდება ეს რომ ვერ გავითვალისწინე და ცვლილებებს უფრო ადრე არ მივმართე. მერე კი დავიბრუნეთ ბურთი, მაგრამ უკვე საბოლოო დარტყმები აღარ გვივარგოდა. ცხადია საწყენია ქულებს ასე რომ დაკარგავ, მაგრამ რა გაეწყობა. ბოლოს და ბოლოს, ძალიან ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით."

**ბაკუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

# რა სჭირდა დასაწუნი?

## იუვენტუსმა მსაჯის ჩასტვენილი 20 წუთის მერე გაიგო

**ლა კორუნიაში**, „რიასორზე" „იუვენტუსმა" ღირსეულად და მოხდენილად გამოასწორა ერთი შეხედვით შემაშფოთებელი მდგომარეობა — „დეპორტივო" 2:0-ს იგებდა, მაგრამ ტურინელებმა საჯარიმო მოედნის გარედან ორი საპასუხო დაუქუხეს და მასპინძლებს ქულა აართვეს.

განსაკუთრებით „იუვენტუსის" მცველის, ალესანდრო ბირინდელის გოლმა მოჭრა მაყურებელს თვალი. მისი შორეული დარტყმის შედეგად ბურთი მეტად ლამაზად და ძლიერად გაფრინდა „დეპორტივოს" კარის ცხრიანისკენ, თუმცა მოგვიანებით, არც პაველ ნედვედის გასროლილი გამოდგა ულამაზო.

თავიდან კი გალისიელებმა იყოჩაღეს. მათ იტალიელ მეტოქეებთან ბოლო ოთხ დაპირისპირებაში დადებითი შედეგი მოინადირეს და ამჯერადაც ფრიად ლაღად და სანახაობრივად დაიწყეს თამაში. პირველი ხიფათი „ბებერი ქალბატონის" კართან არგენტინელმა მცველმა ლიონელ სკალონიმ შექმნა, რომელმაც საჯარიმო მოედნის კიდიდან ტექნიკურად დაურტყა ჯანლუიჯი ბუფონს, მაგრამ მეკარემ ბურთი მოიგერია.

შემდეგ კი „დეპორტივო" დაწინაურდა: ხუან კაპდევილამ მარცხენა ფრთაზე იოსტატა და ტურინელთა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, სადაც დიეგო ტრისტანმა მეურვეს აჯობა, დაუსხლტა და თავურით ანგარიში გახსნა.

გაშვებულმა გოლმა სტუმრები, ბუნებრივია, შეაცბუნა და სანამ შეცბუნებულნი იყვნენ, მასპინძლებმა მეორე გოლიც შეაგდეს. ამ ეპიზოდში, ისევე, როგორც პირველში, დიდი როლი კაპდევილამ შეასრულა. მან ფრთაზე გაინავარდა და დაბლა ჩააწოდა ჰოლანდიელ თანაგუნდელ როი მაკაის, რომელმაც ანგარიში გაზარდა.

თუმცა იტალიის ჩემპიონატის ლიდერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას გონს მოსაგებად დიდი დრო არ დასჭირვებია და თანდათან, უფრო და უფრო სახიფათოდაც ათამაშდა. კბილები გამოაჩინეს მარკო დი ვაიომ, ალესანდრო დელ პიერომ და პაველ ნედვედმა, შემდეგ კი ბირინდელიმ გამოიჩინა თავი — სივრცე შენიშნა, შეინავარდა და ზემოთ რომ ვახსენეთ ის გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ ალდუ დუშერს შეეძლო მასპინძელთა ორგოლიანი უპირატესობის აღდგენა, მაგრამ ბოლოწამს მიზანს ააცილა. აი, ნედვედმა კი 57-ე წუთზე არ ააცილა „დეპორტივოს" კარს, რაშიც დელ პიერომაც შეუწყო ხელი.

მატჩის შემდეგ, „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა:

„ჩვენი ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ თამაში მეოცე წუთიდან დავიწყეთ, რის გამოც „დეპორტივომ" ორგოლიან უპირატესობას მიაღწია. ამის შემდეგ კი ყველაფერი ძალიან კარგად წაგვივიდა, ის ორი გოლიც გავქვითეთ და მესამეც გავიტანეთ, რომელსაც, მე თუ მკითხავთ, დასაწუნი არაფერი სჭირდა, თუმცა მსაჯმა არ ჩათვალა."



REUTERS ლა კორუნიიდან

ალესანდრო დელ პიერომ მეტოქეზე ჩაიმუხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2002-2003

**მერვედფინალი. პირველი მატჩები** (UEFA CUP)

| | |
|---|---|
| შტურმი (ავსტრია) | ლაციო (იტალია) |
| ვისლა (პოლონეთი) | შალკე (გერმანია) |
| ბეტისი (ესპანეთი) | ოსერი (საფრანგეთი) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | დინამო (კიევი, უკრაინა) |
| ბრიუგე (ბელგია) | შტუტგარტი (გერმანია) |
| ვიტესი (ჰოლანდია) | ლივერპული (ინგლისი) |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| დენიზლისფორი (თურქეთი) | ლიონი (საფრანგეთი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | ანდერლეხტი (ბელგია) |
| მალაგა (ესპანეთი) | ლიდსი (ინგლისი) |
| პაოკ (საბერძნეთი) | სლავია (ჩეხეთი) |
| აეკ (საბერძნეთი) | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| პორტუ (პორტუგალია) | ლანსი (საფრანგეთი) |
| სელტიკი (შოტლანდია) | სელტა (ესპანეთი) |



„დენიზლი“ კმაყოფილი უნდა იყოს: „ლიონს“ მეგოლე კაპიტანი სონი ანდერსონი დააკლდება

# რა პირველი, რის მეორე

## ერთადერთ ქართველს დაუმარცხებლები ეწვევიან

**ჩემპიონთა ლიგიდან** გამობუნძულებული „ლივერპული“ უეფას თასის მესამე ეტაპზე ჰოლანდიურ „ვიტესს“ სტუმრობს. ჟერარ ულიეს ერთადერთი თავის ტკივილი მეკარის პოზიციაა. ფრანგს ჯერაც არ გადაუწყვეტია, ათამაშოს თუ არა ირჟი დუდეკი — პოლონელს მცირე ტრავმა აწუხებს. ყოველი შემთხვევისთვის, მისი შეცვლა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მეკარე კრის კირკლანდს შეუძლია. ჰოლანდიელებს კი მცველი ალექსანდრ რანკოვიჩი ჰყავთ დისკვალიფიცირებული. სამაგიეროდ მეორე მცველმა რუუდ კროლმა მუხლის ტრავმა ახლახან მოირჩინა და სავარაუდოდ ინგლისელების წინააღმდეგ ითამაშებს.

პრემიერლიგაში საზიზღარი შედეგების ფონზე ევროწარმატება განსაკუთრებით სჭირდება „ლიდსს“ და უპირველესად მის მწვრთნელ ტერი ვენეიბლზს. ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს „მალაგასთან“ ფეხის დაცდენა ეგებ სამუშაოს დაკარგვადაც დაუჯდეს. სხვათა შორის, ვენეიბლზს სამწვრთნელო კარიერის საუკეთესო პერიოდი, 80-იან წლებში, სწორედ ესპანეთში, კერძოდ „ბარსელონაში“ გაუტარებია.

ინგლისელებს სერიოზული დანაკარგები არ აქვთ. აი, „მალაგას“ კი შესაძლოა ზურგმტკივანი ურუგვაელი დარიო სილვა დააკლდეს. ხოლო გამარჯვება, ბოლო ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთის მომგებ ანდალუსიელებსაც ჰაერივით სჭირდებათ.

უეფას თასის ამ ეტაპის ეგებ მთავარი წყვილის პირველი დაპირისპირება გლაზგოში გაიმართება — „სელტიკი“ „სელტას“ უმასპინძლებს. გალისიელებს ეკვადორელი ივან კავიედესის გარეშე მოუწევთ გლაზგოელებთან გამკლავება. კავიედესი ნაკრებში იყო გამოძახებული და კლუბში ჯერაც არ დაბრუნებულა.

მძიმე ბრძოლა ელის დავით მუჯირის „შტურმსაც“. ავსტრიელებს ბოლო ათ მატჩში დაუმარცხებელი „ლაციო“ ესტუმრათ. ოღონდ ესაა, რომაელები გრაცში სრული შემადგენლობით არ წასულან. სრულით კი არა, სერია A-ს ბოლო ტურში „მოდენას“ დამბდლვნელი შემადგენლობიდან „შტურმს“ სავარაუდოდ მხოლოდ ანჯელო პერუცი დაუპირისპირდება. მიუხედავად ამისა, ფინანსურ კრიზისში მყოფი „ლაციო“ ყველაფრის სტუმრადვე გადაწყვეტას აპირებს. შემადგენლობას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ორი თანაბარძალოვანი გუნდის გამოყვანა შეგვიძლიაო, ამბობდა ავსტრიაში გაფრენის წინ ენრიკო კიეზა.

მუჯირის თანაგუნდელებიდან კი სოფიის „ლევსკისთან“ გაძევებული მცველი გიუნტერ ნოიკირხნერი და ჩილელი ნახევარმცველი ფრანსისკო როხასი არ ითამაშებენ.

უეფას თასის გერმანული წარმომადგენლობიდან ამ წრის გავლის ყველაზე კარგი შანსი („ჰერტაზე“ აქ ნუ შევჩერდებით) „შალკეს“ აქვს. 1997 წლის უეფას თასის მფლობელს პოლონური „ვისლას“ წინააღმდეგობა აქვს დასაძლევი. კრაკოვში ტრავმის გამო არ ჩასულა ანდრეას მიოლერი. საეჭვოა, ბუნდესლიგელთა რიგებში ტომაშ ვალდოხისა და ნიკო ვან კერკჰოვენის თამაშიც. პოლონელიცა და ბელგიელიც ტრავმებს უჩივიან და „შალკეს“ ბოლო მატჩიც გამოტოვეს.

„შალკეზე“ რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს უეფას თასის 1989 წლის ფინალისტ „შტუტგარტს“. შტუდგარტელები ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილ ბელგიურ „ბრიუგეს“ ეთამაშებიან. ბოლო დროს თამაშის თამაშზე მომგები გერმანული გუნდის მწვრთნელი ფელიქს მაგათი კი მშვიდადაა. მისი თქმით, „შტუტგარტს“ დღესდღეობით საწუწუნო არაფერი აქვს, ბრწყინვალედ თამაშობს. „ბრიუგეს“ დაცვას განსაკუთრებით „შტუტგარტის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი კევინ კურანის მიხედვა მართებს. კევინმა ბუნდესლიგაში უკვე 8 გოლი მიითვალა და რუდი ფიოლერის ყურადღებაც მიიპყრო. ბელგიელთა შემადგენლობაში კი დისკვალიფიცირებულ ოლივერ ლეკოფს ალბათ ვრატისლავ რისტიჩი შეცვლის.

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილმა საფრანგეთმა უეფას თასის ეს ეტაპი გუშინწინ პსჟ-ს მეოხებით კარგად დაიწყეს, დღეს კი იგივეს გაკეთებას ლიგის ყოფილი ბინადარი „ლიონი“ შეეცდება თურქულ „დენიზლისფორთან“. „ლიონს“ თურქების დამარცხება ტრავმირებული ბრაზილიელი კაპიტნის, სონი ანდერსონის გარეშე მოუწევთ. ტრავმირებულია მცველი ჟერომ ბრეშეც.

სევილიაში, „ბეტისის“ წინააღმდეგ ალბათ არ იქნება „ოსერის“ სენეგალელი თავდამსხმელი ხალილუ ფადიგა. მან ტრავმის გამო საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე ორი მატჩი გამოტოვა. ამავე მიზეზით ფადიგას თანამემამულე პაპე ბუბა დიოპი თავის „ლანსს“ „პორტუსთან“ ვერ შეაშველებს ფეხს. „ლანსს“ სირილ რულიც დამტვრეული ჰყავს და არც ფერდინანდ კოლი და ჩარლზ ედუა კორლონი არიან საუკეთესო ფორმაში.

„ანდერლეხტთან“ საშინაო მატჩში „ბორდოს“ დაცვის ერთბაშად სამი ძირითადი წევრი გამოაკლდება. ტრავმების გამო ბელგიურ კლუბთან დავიდ ჟემალი, ჟერომ ბონისელი და კოჯი აფანუ ვერ ითამაშებენ.

თბილისის „დინამოს“ დამმარცხებელი „ლიბერეცი“ თავისი ევროპული ამბიციების დამტკიცებას „პანათინაიკოსთან“ შეეცდება. „დინამოს“ შემდეგ ჩეხებმა ინგლისური „იფსვიჩი“ იმსხვერპლეს, ასე რომ, სრეჩკო კატანეცის ბიჭებს იოლი გასეირნება სულაც არ ელით.

ბერძნულ-ჩეხური დაპირისპირება სალონიკში გაგრძელდება, სადაც უკვე ჩეხები იქნებიან სტუმრების რანგში. პაოკ-ი პრაღის „სლავიას“ მასპინძლობს. ჩემპიონთა ლიგას დაუმარცხებლად გამომშვიდობებული ათენის აეკ-ი ებრაულ „მაკაბის“ მიიღებს. უკრაინული „დინამო“ კი სტამბოლის „ბეშიქთაშს“ შეეჭიდება.

**სერგი ძორიძე**

# იძულებით

## უეფას თასი 2002-2003

**1/16 ფინალი. პირველი მატჩები** (UEFA CUP)

პსჟ (საფრანგეთი) 2:1 ბოავიშტა (პორტუგალია)
**1:0 ნიარკო (17), 2:0 ფიორეზე*(45), 2:1 კლაუდიუ (75)**
**გაძევება: დუუ (32, ბოა)**

ჰერტა (გერმანია) 2:1 ფულემი (ინგლისი)
**1:0 ბაინლიხი (26), 1:1 მარლე (53), 2:1 საფა (68ს.კ.)**

**გერმანულმა** „ჰერტამ“ ბოლო ცამეტ საევროთასო შეხვედრაში (ინტერტოტოს თასის ჩათვლით) დაუმარცხებელ „ფულემს“ პირველი წაგება აგემა. ოღონდ, ისიც ანდა ითქვას, რომ მასპინძლებს გამარჯვებაში სტუმართა ფორვარდი ფაკუნდო სავა დაეხმარა. თავიდან მოვყვეთ.

მთელი შეხვედრა შმაგად ითამაშა ბერლინელთა წინახაზელმა მარსელინიომ. ყვითელთავა ბრაზილიელს მოედნის ნებისმიერ წერტილში იხილავდით და პირველი გოლიც მის აქტიურობას მოჰყვა. მისი უძლიერესი დარტყმა სტუმართა მეკარემ, ჰოლანდიელმა ედვინ ვან დერ სარმა კუთხურზე მოიგერია. კუთხური ყვითელთავამ ჩააწოდა და ბაინლიხმაც თავურით ტრიბუნებზე მყოფ მცირერიცხოვან ქომაგს სიხარული მოჰგვარა.

„ფულემმა“, რომელიც პირველ ორმოცდახუთწუთეულში არცთუ კარგად გამოიყურებოდა, მეორე ტაიმი მძლავრად დაიწყო და რვა წუთში მასპინძლებს, რომლებსაც ბოლო 10 ევროსათასო შეხვედრიდან ცხრაში გოლი არ გაუშვიათ, გაუქვითა — სტივ მარლემ ჯეტუს ძელსგარტყმულ ბურთს ფეხი მიარტყა და მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ერთ წუთში ჯეტუს ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, თუმცა ამის გაკეთება გაბორ კირალიმ არ დაანება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ „დაეხმარა“ ფაკუნდო სავა გერმანელებს გამარჯვებაში: ანცმა მარსელინიომ საჯარიმო დარტყმა ითავა, ინგლისელთა არგენტინელმა კი, რომელმაც პრემიერლიგის ბოლო ტურში თვით „ლივერპული“ ორი გოლით გაისტუმრა, ბრაზილიელის დარტყმულს ფეხი უმწოდ დაუხვედრა და ამჯერად თავისიანებს გამოუყვანა წირვა.

მოგახსენეთ, რომ მასპინძელთაგან ბრაზილიელი მარსელინიო გამოირჩეოდა, სტუმრებთაგან კი გოლდბეკის შემცვლელი პორტუგალიელ ბოა მორტე ყოჩაღობდა. ბოა მორტეს თამაშში ჩართვის მერე ბერლინელებს დაცვაში საზრუნავი არ მოჰკლებიათ. იგი მასპინძელთა დაცვას ყოველი მხრიდან აწიოკებდა, თუმც უშედეგოდ. ნამატჩევს პორტუგალიელმა გოროზად განაცხადა, საპასუხო შეხვედრაში სასურველ შედეგს უთუოდ მივაღწევთ, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებულიო.

პარიზში კი 25 ათასმა მაყურებელმა მდარე თამაში იხილა და ის სამი გოლი, რომელიც ამ მატჩში გავიდა, ფეხბურთელთა წამიერ აფეთქებებს მოჰყვა.

მე-17 წუთზე ნიარკომ შორიდან დარტყმა ინება და, ყველასთვის მოულოდნელად, ანგარიშიც გახსნა. ხოლო ასეთ უღიმღამო მატჩში მასპინძელმა ფრედერიკ დეუმ სამ წუთში ორი ყვითელი ბარათი რომ დაიმსახურა, მხოლოდ მის ფეთიანობას უნდა მივაწეროთ.

მეორე გოლი მაშინ გავიდა, როცა „ბოავიშტას“ დაცვამ ჩათვლიმა. პირველი გოლის ავტორის ნიარკოს გრძელმა პასმა ფიორეზე მეკარეს პირისპირ შეატოვა და მანაც ტაიმის ბოლო წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა.

ერთი საპასუხო გოლი კი პედრო სანჩესისა და ლუის კლაუდიუს „გამოლვიძებას“ მოჰყვა, როცა ამ უკანასკნელმა სანჩესის ფლანგურ პასს თავი შეაგება.

დარჩენილ თხუთმეტ წუთში გუნდებმა თითქოს მოინდომეს კიდეც თამაშის მაღალ ტემპში დამთავრება, თუმცა გეგონებოდათ, გუნდები მოედანზე საბურთაოდ იძულებით გამოყარესო.

**ზურაბ რუხაძეილი**



ჰერტა — ფულემი. ლონდონელი შონ დევისი (№23) და ბერლინელი პალ დარდაი

# 4 ნორდი და მშვიდი ევროპა

## უეფას ნორდ ოსტი არ უნდა





ლენარტ იუჰანსონმა თურქებთან მეგობრობის მოწინააღმდეგე ბერძენ ქომაგს საქციელი დაუწუნა

**ევროპის** 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატები 12 დეკემბერს ელიან. ამ დღეს უეფა გამარჯვებულს გამოაცხადებს.

აქამდე ისე იყო, რომ 7 განაცხადიდან გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი საბერძნეთ-თურქეთს ჰქონდა, რომელთაც ერთობლივი მასპინძლობა სურთ. თუმცა „პანათინაიკოს" — „ფენერბაჰჩეს" უეფას თასზე დაპირისპირებისას ათენსა და სტამბულში მომხდრმა ინციდენტებმა ამ ორი ქვეყნის შანსები ერთობ შეამცირა.

რუსეთს კი, რომელსაც ასევე ძალიან სერიოზულ პრეტენდენტად განიხილავდნენ, პრესტიჟი გვარიანად შეულახა მოსკოვის ცენტრში დატრიალებულმა ტრაგედიამ.

„თუ მეკითხებით, იმოქმედებს თუ არა ყველაფერი ის, რაც მოხდა „პანათინაიკოს" — „ფენერბაჰჩეს", ასევე „ფენერბაჰჩე" — „გალათასარაის" მატჩისას და მოსკოვის ტერაქტი ამ ქვეყნების შანსებზე, გიპასუხებთ, რომ დიახ, იმოქმედებს. და კიდევ ერთი, ჩვენს გადაწყვეტილებაზე არცთუ დადებით გავლენას იქონიებს ირლანდიაში მომხდარი ამბებიც" — განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა.

რაც შეეხება ირლანდიას, რომელიც, როგორც იცით, მეზობელ შოტლანდიასთან ერთად აპირებს ევრო 2008-ის მასპინძლობას, იქაურმა კელტთა ათლეტიკურმა ასოციაციამ ფეხბურთის ასოციაციას დუბლინის „კროკ პარკის" სტადიონის საფეხბურთოდ გამოყენების ნებართვა არ მისცა, რითაც ბრიტანელებს უეფას წინაშე სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

იუჰანსონი ნორდული ქვეყნების ოთხეულსაც შეეხო. ამ ოთხეულს ნორვეგია, ფინეთი, დანია დ შვედეთი შეადგენენ. იუჰანსონის თქმით, მათი გამარჯვების შემთხვევაში ოთხივე სკანდინავიური ქვეყანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ დაიშვება. სავარაუდოდ, მათ შორის მცირე ტურნირი ჩატარდება, რომელიც გამარჯვებულ ორ ქვეყანას ფინალის საგზურს მოუტანს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დღეისთვის 2008 წლის კონტინენტის პირველობის სამასპინძლოდ საუკეთესო შანსი, უეფას პრეზიდენტის თქმით, ავსტრია-შვეიცარიის წყვილს აქვს. იუჰანსონმა განსაკუთრებით შვეიცარია გამოარჩია, თქვა, სამასპინძლოდ ყველაფერი გააჩნია, ინფრასტრუქტურა, სტადიონები და რაც მთავარია, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობაო. თუმც იქვე დაამატა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავსტრია-შვეიცარიას გამარჯვება გარანტირებული აქვთო.

შეგახსენებთ, რომ მხოლოდ რუსეთმა და უნგრეთმა წარადგინეს მარტო მასპინძლობის განაცხადები. თურქეთ-საბერძნეთის, შოტლანდია-ირლანდიის, სკანდინავიური ოთხეულისა და შვეიცარია-ავსტრიის გარდა, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ხორვატია-ბოსნიის წყვილსაც მოუწადინებია.

**სერგი ჭორიძე**

# რომა კუთხეში დააყენეს

**სერია** A-ს წინა ტური „რომასთვის" სავალალო შედეგით დასრულდა. გარდა იმისა, რომ დედაქალაქელებმა პარმაში სამარცხვინოდ წააგეს —3:0, საფეხბურთო ლიგის დისციპლინალურმა კომიტეტმა კლუბის მიმართ სანქციები დააწესა — „რომა" „სტადიო ოლიმპიკოს" ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გამორჩა და 20 000 ევრო ჯარიმასაც გადაიხდის.

ამის მიზეზი „პარმასთან" შეხვედრის მსვლელობისას მომხდარი ინციდენტია. „რომას" ქომაგთათვის გამოყოფილი სექტორიდან მავანმა გაგულისებულმა ფანმა მაშხალა გაისროლა და სერიოზულად დააშავა [illegible], რომელიც სტადიონზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ასე რომ, „რომა" იძულებული იქნება, ერთი საშინაო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ჩაატაროს, მაგრამ ეს არ იქნება „რომა" — „იუვენტუსის" შაბათის შეხვედრას, რომელიც „ოლიმპიკოზე" გაიმართება და ჩვეულებრივ, ანშლაგით ჩაივლის (ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია). აი, 8 დეკემბერს გასამართი მორიგი საშინო მატჩი, „რეჯინასთან" კი აუცილებლად სხვა მოედანზე ჩაივლის.

**ნინო ჭადაგიშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „ვალენსიას" სპორტულ დირექტორ ხესუს გარსია პატარხის განცხადებით, კლუბი „სოსიედადის" ფორვარდ დარკო კოვაჩევიჩით დაინტერესდა. იუგოსლაველზე სატრანსფერო უფლებას „ლაციო" ფლობს და თუ მის სანაცვლოდ რომელიმე კლუბი 8 მილიონ ევროზე მეტს გადაიხდის, ფეხბურთელს ბასკური კლუბის დაუკითხავად შეუძლია წასვლა.

**არგენტინელი მეგოლე გაბრიელ ბატისტუტა ახალი სეზონიდან შესაძლოა იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „იოკოჰამა მარინოსში" ვიხილოთ. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ბატიგოლმა აზიურ კლუბთან წინასწარ კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი, თუმც თავად რომაელი ფორვარდი კომენტარისგან თავს იკავებს.**

**რუსეთის** ნაკრებისა და ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი დასასვენებლად გერმანიაში გაემგზავრა. გაფრენამდე მან დანანებით თქვა: „სამწუხაროდ, რუსეთში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში „ოქროს მატჩი" იმართება, არადა, პირველ ადგილზე ჩვენ ვიყავით, „ლოკომოტივზე" მეტი მატჩიც მოვიგეთ და მეტი გოლიც გავიტანეთ." გაზაევი გერმანიიდან ორ კვირაში დაბრუნდება.

**ბულგარეთის ჩემპიონატში ცსკა-მ ახალი რეკორდი დაამყარა. სოფიელებმა პირველ წრეში ცამეტი შეხვედრიდან ცამეტივე მოიგეს და თავიანთი მოსისხლე მტერი, ბულგარული ფეხბურთის ფლაგმანი და ძველი რეკორდსმენი „ლევსკი" ერთობ გაანაწყენეს.**

**უელსური** „მილდელჰოლისა" და „ლოსტოფტის" შეხვედრაში ამ კლუბების ორ ფანს შორის ჩხუბი მოხდა. სტუმართა გუნდის ქომაგმა დევიდ ენსლიმ, რომელიც ადრე სამეფო ორკესტრში დაფდაფზე უკრავდა, ძველი ხელობა თავისი საყვარელი კლუბის საქომაგოდ გამოიყენა. დაფდაფის გამაყრუებელმა ხმამ ყურთასმენა წაუღო მასპინძელთა 73 წლის გულშემატკივარ ედვარდ სმიტს და გაფრთხილების შემდეგ, რომელიც მედაფდაფემ არად ჩააგდო, მხცოვანმა ქომაგმა მას დასარტყმელი ინსტრუმენტი თავზე ჩამოამხო და რამდენჯერმე სკამზეც მიარტყმევინა თავი. 73 წლის გიჟმაჟ ქომაგს 200 გირვანქა ჯარიმის გადახდა მოუწევს, ის კი უტიფრად აცხადებს, შემთხვევით მხარი გავკარიო.

**პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ბრაზილიელი ლუიზ ფელიპე სკოლარის დანიშვნას ფინანსური საკითხების შეთანხმებაღა აკლიაო, აცხადებს ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტუ მადალი. მისივე თქმით, თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, პრეზიდენტობაზე უარს იტყვის. ადგილობრივი პრესის ცნობით, თანხა, რომელიც ოფიციალურად არ სახელდება, 1,5 მილიონ ევროს უტოლდება და თუ პორტუგალიელები ევროპის ჩემპიონები გახდებიან, სკოლარი დამატებით ნახევარ მილიონ ევროსაც მიიღებს.**

**ისრაელის** სპორტის ყოფილ მინისტრ მატანო ვილნაის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ებრაულ ფეხბურთში არსებულ ფინანსურ მაქინაციებზე 120-გვერდიან მოხსენებას წარუდგენს. მაქინაციებში ბრალდებული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გავრი ლევი კი ამბობს, რომ იგი ფინანსურ საკითხებს არ განაგებს და შავი ფულის გათეთრება ფედერაციის სხვა მაღალჩინოსნებს უნდა მოჰკითხონ. ფედერაციას იატაკქვეშა ტოტალიზატორების პატრონობაც ბრალდება, რომლებიც ჩემპიონატის მატჩების შედეგებზე ახდენენ გავლენას.

**უკრაინის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, 22,36 ჰექტარზე გადაჭიმული დასასვენებელი კომპლექსი „პუშა ვოდიცა" კიევის „დინამოს" სამუდამო მფლობელობაში გადაეცა.**

# ამდენ ფულს ვინ დაათობეზს

## კრისტიან ციგეს ხავსი მოაცილეს



**აგერ** უკვე მერამდენე წელია, „მიდლსბროსა" და „ლივერპულის" 7 მილიონი გირვანქის გამო სასამართლო დავა გრძელდება. უკვე ხავსმოკიდებული საქმე ლონდონის სასამართლოში კვლავ ამოტივტივდა და „მიდლსბროშ" პირველი გამარჯვებაც მოიპოვა — კლუბს უფლება მიეცა, „კრისტიან ციგეს საქმე" გააგრძელოს. არადა, ამ წლის მაისში სასამართლოს გადაწყვეტილებით ციგეში გადახდილი თუ გადაუხდელი მილიონების ამბავი დავიწყებას უნდა მისცემოდა.

თუ გახსოვთ, ციგე 1999 წელს „მილანიდან" 4 მილიონ გირვანქად გადაბარგდა „მიდლსბროში", ერთ წელიწადში კი „ლივერპულში" გადავიდა, რისთვისაც გერმანელის პირველმა პრემიერლიგურმა გუნდმა 5,5 მილიონი გირვანქა მიიღო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი დავა სასამართლოში.

„მიდლსბრო" ამტკიცებს, რომ ციგეს სატრანსფერო ფასი მაშინ 7,5 მილიონი გირვანქა იყო. მართალია, თავად გერმანელი ახლა „ტოტენჰემში" თამაშობს, მისი საბაზრო ფასი კი 2000 წლის აგვისტოში გადახდილი 5,5 მილიონზე დაბალია, მაგრამ ამას „მიდლსბროსთვის" მნიშვნელობა აღარ აქვს. კლუბი „ლივერპულისაგან" დარჩენილ 2 მილიონს და საკომპენსაციოდ კიდევ 5 მილიონ გირვანქამდე თანხას ითხოვს.

„მიდლსბროს" საჩივარი მიღებულია, საქმის განხილვა თავიდან დაიწყება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომჩივანმა პროცესი უკვე მოიგო" — აღნიშნა ამ საქმის წარმმართველმა მოსამართლე საიმონ ბრაუნმა.

**სერგი ჭორიძე**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩები

**პრესტონი 2:0 ლესტერი**

1:0, 2:0 ფულერი (48, 90)

**კრისტალ პალასი 0:1 რედინგი**

0:1 ფორსტერი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:18 | 48 |
| ლესტერი | 20 | 12 | 5 | 3 | 31:19 | 41 |
| ნორვიჩი | 20 | 10 | 6 | 4 | 33:17 | 36 |
| რედინგი | 19 | 11 | 2 | 6 | 23:14 | 35 |
| ნოტინგემი | 19 | 9 | 6 | 4 | 33:17 | 33 |
| ვულვზი | 19 | 9 | 5 | 5 | 38:21 | 32 |
| შეფილდი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:23 | 32 |
| უოტფორდი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:28 | 31 |
| ბარნლი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:32 | 29 |
| როტერჰემი | 20 | 7 | 6 | 7 | 32:25 | 27 |
| კრ. პალასი | 20 | 6 | 9 | 5 | 30:24 | 27 |
| დერბი | 20 | 8 | 3 | 9 | 24:27 | 27 |
| ქოვენთრი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:27 | 27 |
| მილუოლი | 20 | 7 | 5 | 8 | 22:30 | 26 |
| პრესტონი | 20 | 5 | 10 | 5 | 32:32 | 25 |
| უიმბლდონი | 20 | 7 | 4 | 9 | 30:33 | 25 |
| ჯილინგემი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:27 | 24 |
| იფსვიჩი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| უოლსოლი | 20 | 6 | 4 | 10 | 29:34 | 22 |
| ბრედფორდი | 20 | 4 | 7 | 9 | 21:37 | 19 |
| გრიმსბი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:39 | 17 |
| სტოკი | 20 | 3 | 5 | 12 | 20:37 | 14 |
| უენსდი | 20 | 2 | 7 | 11 | 16:32 | 13 |
| ბრაიტონი | 18 | 3 | 3 | 12 | 18:35 | 12 |

## ასოციაციის თასი

### II ეტაპის წილისყრა

მორეკემბი — ჩესტერის; შრიუსბერი — ბაროუ; მარიგეიტ რეილვეი — ბრისტოლის; დარლინგტონი — სტივენიჯ ბოროს; ოლდემი ან ბარტონი — ჩელტენემის; მაკლსფილდი — ვოქსოლის; კემბრიჯი — ნორთჰემპტონის; ექსეტერი — რაშდენის; სოთპორტი — ბლეკპულის; სეუთენდი — ბორნმუთის; ოქსფორდი — სუინდონის; იორკი — ბრენტფორდის; მარგეიტი — კარდიფის; სკანთორპი — კარლაილის; ბლეკპული — ტორკის; ქროუ — მენსფილდი

მატჩები გაიმართება 7-8 დეკემბერს


საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus ზევსი
- კია 47 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- შალითები კიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.30 GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დამზადება საბილიარდო მაგიდების, კონსულტაცია, გარანტია, ფასდაკლება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კაგოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა



სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

საქართველოს უმაღლესი ლიგის 14 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 19 ტური

# ორთაბრძოლის მშვენება



„ტორპედო“ ალეკო ამისულაშვილის ამ თავურს გადაურჩა

თბილისი. 27 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 2 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 0:0 ტორპედო

| | |
|---|---|
| **დინამო:** ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, კანდელაკი, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული, დარასელია, ალექსიძე. სათადარიგონი: გვარამაძე, ა. სახვაძე, მ. ბობოხიძე, კარლოსი, ვაშაკიძე, ი. სამხარაძე, გ. ვ. მიქაძე. მწვრთნელი: ივო შუშაკი | **ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, დიდავა, კვიტინაძე (ახალკაცი 73), ასათიანი, იონანიძე, პოროშინი, ჩომახიძე (აკოფიანი 60). სათადარიგონი: ქანტურია, მაზმილაძე, გამეზარდაშვილი, ლალაძე. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი |

გაფრთხილება: ბურდული (24)

მსაჯები: მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ა. ორჯონიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 15-16; კუთხური: 5-1; კარისკენ დარტყმა: 6-7; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 1-5

დავით თავართქილაძე

**დიდ დაპირისპირებაში** ამჯერად მშვიდობამ გაიმარჯვა, გოლი არ გასულა, მაგრამ მინდორზე კი მართლაც ომი იყო.

ეგრეა, „დინამო“ — „ტორპედომ“ გუშინ ომი და მშვიდობა შემოგვთავაზა ხალვათ „ეროვნულზე“.

მატჩი შუადღეს იყო, თანაც არაუქმე დღეს და ალბათ ერთი-ორი ათასი გულშემატკივარი ამადაც მოაკლდა ტრიბუნებს.

არ იყო „ტორპედოს“ ფანობა, ხოლო „დინამოს“ ფანებს მთელი ოთხმოცდაათი წუთი არ მოუსვენიათ და დინამოელებმაც დაღებით შედეგს მიაღწიეს — ივო შუშაკის გუნდი ხომ კვლავ ლიდერია.

გუნდებმა სრულად არა, მაგრამ 80-90 პროცენტამდე ალბათ დახარჯეს კიდეც არსებული მარაგი. ჰოდა, ფრეც ლოგიკური გახლდათ, თუმც მხოლოდ ერთი შეხედვით.

ვთქვათ ასე — პირველი ტაიმი „დინამოსი“ იყო, მეორე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ოღონდ „ტორპედო“ იქ ოდნავ მწვავედ უტევდა.

ახალიც ვერაფერი ვნახეთ, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ტორპედოელთა ყოჩი გივი დიდავა ხშირად ფორვარდის პოზიციაზეც მოგვევლინებოდა ხოლმე.

„დინამოს“ სწრაფი გოლი უნდოდა, ეს იგრძნობოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მატჩიც ასეთი იყო, ვინც დაწინაურდებოდა, ის გაიმარჯვებდა — ცხადია, უხეშად ნათქვამია, მაგრამ ასეთი თამაშები მართლაც ხომ არის.

პირველი ხიფათი — ვიტალი დარასელიამ ლადო ბურდული გაიყვანა მარჯვენა ფლანგზე, ლადოს ჩაწოდებული გიორგი ანჩაბაძეს მიუვიდა, რომელიც ბურთს ფანტასტიურად ფლობს, მაგრამ ამჯერად ვერ დაუმუშავა კარგად და ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

მეორე ხიფათი — რატი ალექსიძე მშვენივრად გაიჭრა მარცხნივ და ბურთი დარასელიას დაუგორა, რომელმაც 5-6 მეტრიდან ვერ გაისწორა მიზანი.

მესამე ხიფათი — ალეკო გოგობერიშვილმა ჩინებული პასი უბოძა ბურდულს, მან ალექსიძეს ჩაუწოდა, რატის თავურს ზვიად სტურუამ წაატანა თითები და ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

მეოთხე ხიფათი — ალეკო ამისულაშვილმა ორიოდე მეტრიდან ააცილა თავური კარს.

მწვავე იერიშები კიდევ სხვაც იყო „ტორპედოს“ კართან, მაგრამ ზემოხსენებულ სამიდან „დინამოს“ ერთი მაინც უნდა გაეტანა.

მატჩის პირველ ნახევარ საათში „დინამომ“ მეტოქეს აჩვენა, თუ როგორ უნდა თამაშის გახსნა, ბურთის აქეთ-იქით გადატანა — ათგზის ჩემპიონმა ათლეტიზმშიც აჯობა სამგზის ჩემპიონს, ხოლო ალექსიძემ თითქმის ყველა მაღალი ბურთი მოიგო.

„ტორპედო“ იშვიათად ახერხებდა ირაკლი ზოიძის კართან მიახლოებას. ქუთაისელთაგან უყოჩაღესი ზურაბ იონანიძე გამოდგა, რომლის ჩაუქობას მოჰყვა ერთადერთი ხიფათი „დინამოსთვის“ — იონანიძე მარცხნიდან გაიჭრა, ბურთი მარჯვენა ფეხზე გადაიტანა და საჯარიმოს წიბოდან დაბალი ბურთი მოსხიპა — ზოიძემ კუთხურზე მოიგერია.

უნიათობას თუ დავარქმევთ მალხაზ ასათიანის თამაშს — პირველ ტაიმში წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა, ფაქტობრივად, ვერაფერი ვერ გააკეთა, ხისტ და აგრესიულ ბრძოლასაც კი ერიდებოდა, ვერც ბურთს იმაგრებდა, არადა მისგან ყველანი გაცილებით მეტს ელოდნენ.

ქება არ უნდა დავამადლოთ ანდრი პოროშინს — ეს ფორვარდი ტექნიკაში კი მოიკოჭლებს, მაგრამ მთელი საათნახევარი შესაშურ ბრძოლისუნარიანობას ამჟღავნებდა. ქუთაისელთაგან იონანიძის შემდეგ გივი დიდავა და შოთა ბაბუნაშვილიც უნდა გამოვარჩიოთ, ხოლო მეორე ტაიმში მათგან საუკეთესო ალბათ, რევაზ ქემოკლიძე გახლდათ.

ძნელია, „დინამოდან“ გამოვარჩიოთ ვინმე. შუშაკელებმა ძალიან კომპაქტურად ითამაშეს, მწყობრად და ერთობ კოლექტიურად.

თანაბარი მეორე ტაიმი იმდაც გამოირჩა, რომ უფრო მეტი ორთაბრძოლები იყო, ვიდრე კომბინაციური თამაში და ინდივიდუალიზმი.

„ტორპედოს“ საუკეთესო შანსი მაშინ მიეცა, როცა კახა კვეტენაძემ იონანიძეს უპასა, რომელმაც გზად ერთი მეტოქე ჩამოიცილა და ღონიერი ჭვინტი ჰკრა ბურთს — ზოიძემ ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო, მაგრამ დამატებაზე ვერავინ ივარგა.

ალექსიძემ სოლო რეიდითაც სცადა გატანა — ერთი მოძრაობით ორი მეურვე ლამაზად ჩამოიცილა, წინ გაიჭრა, მაგრამ მარჯვენათი დაარტყა, რაც ულაზათო გამოდგა.

უზადო გახლდათ ანჩაბაძის გადაცემა დარასელიასადმი, მაგრამ უმცროსმა ვიტალიმ ძალიან მახვილი კუთხიდან სცადა ბედი და სტურუაც არ შემცდარა.

და კვლავ იონანიძე — მან ჯერ ახალკაცი-პოროშინის კომბინაცია დაასრულა არაზუსტი თავურით, მერე ლაშა ჭელიძე-პოროშინის იერიშს მიაყოლა არაზუსტი დარტყმა.

კარგი შესაძლებლობა გააცუდა ვახტანგ აკოფიანმაც — მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ „დინამოს“ საჯარიმოდან უკუგდებულ ბურთს უხეიროდ მოუქნია ფეხი ოციოდე მეტრიდან.

მატჩის მიწურულს კი ისევ „დინამომ“ მოუჭირა მარწუხებს, მაგრამ „ტორპედო“ უკვე მაგრად იდგა ხმელეთზეც და ჰაერშიც.

**ალექსანდრ შტელინი:**

— ეს მატჩი ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაზე უფრო საინტერესო გამოდგა. ამაში „დამნაშავეა“ ჩვენი მეტოქე — „დინამომ“ თამაში გახსნა, გრძელ გადაცემებს მიმართა. ჩვენ კი ჩვენი თამაში ვითამაშეთ, მაგრამ სამწუხაროდ, პირველ ტაიმში ვერ ვივარგეთ — „დინამომ“ მოგვიმწყვდია. შესვენების შემდეგ თამაში გავათანაბრეთ, თუმც გოლის გატანა ვერ შევძელით. შედეგით მოხარული ვარ. ნაკლოვანებებს კი საშუასეზონო პერიოდში გამოვასწორებთ.

— რაც შეეხება ასათიანს, პირველ ტაიმში მან მართლაც ვერაფრით გამოიჩინა თავი, ორთაბრძოლებს გაურბოდა, მაგრამ მეორე ტაიმში გადაადგილებებს მივმართეთ — ასათიანი უკან დავწიეთ, იმპროვიზაციის საშუალება მივეცით და მან კარგადაც ითამაშა.

— დიდავაზე კვალავაც გავიმეორებ, რომ ის უნიკალური ფეხბურთელია — მისი და ყველა ჩემი ფეხბურთელის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**ივო შუშაკი:**

— კარგი თამაში იყო, რომელსაც მხოლოდ გოლები აკლდა. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში სამი ასპროცენტიანი შანსი გავუშვით ხელიდან, დერბი კი ასეთ შეცდომებს არ პატიობს — შესაძლოა, ამის გამო დავსჯილიყავით კიდეც.

— თამაში მოედნის მძიმე საფარზე გაჩაღდა და მიუხედავად ამისა, ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. ეს მატჩი ორთაბრძოლებმა დაამშვენეს.

— მეორე ტაიმში ვეცადეთ, სხვანაირად გვეთამაშა, მაგრამ „ტორპედო“ ძალიან სახიფათო იყო კონტრშეტევებზე.

— ახლა მთავარია, ლიდერის პოზიცია შევინარჩუნოთ, თამაშის გაუმჯობესებას კი მოსამზადებელ ეტაპისას შევუდგებით.

— ერთი შეცვლაც არ გავაკეთეთ, რადგან ყველა ჩემი ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ. ახლა ადვილია იმის თქმა, რომ არჩილ სახვაძეს შემოყვანა შეიძლებოდა, რადგან ძირითადად მხოლოდ მარჯვნიდან ვუტევდით. მაგრამ დავით კვირკველია დაცვაში უკეთ თამაშობს, ვიდრე სახვაძე და კვირკველიას გაყვანა სახიფათო იყო.



ლადო ბურდულს ბურთი ვახტანგ ხვადაგიანმა აართვა



ალექსანდრ შტელინი და ივო შუშაკი

# აგრესიულობიდან უნივერსალიზმამდე

## ცაკარიასმა ქართველებს ტანი მოუწონა და თავი დაუწუნა

**კახა შალამბერიძე**



მწვრთნელისგან დასჯილმა ზაზა ჯანაშიამ (მარჯვნივ) თანაგუნდელ დავით სირაძის ყოჩაღობას ტრიბუნიდან ადევნა თვალი



„**ლოკომოტივმა**“ თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა რუსთავის „გორდას“ და მორიგი გამარჯვებითაც გაიხარა. აქვე ვთქვათ, რომ თბილისელებმა ორივე გოლი ტაიმთა მეხუთე წუთზე შეაგდეს.

ლუის ცაკარიასმა არც ამჯერად შეიყვანა მატჩის განაცხადში ჭირვეული ზაზა ჯანაშია. პერუელი სპეციალისტის თქმით, ზაზა უკვე ემზადება ინდივიდუალური პროგრამით და თუკი ფორმას აღიდგენს, მომავალ ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან“ აუცილებლად ათამაშებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანაშიას ადგილი იქ იქნება, სადაც გუშინ იყო — ტრიბუნაზე.

მის არყოფნაში კი „ლოკომოტივის“ თავდასხმის ხაზი უღავოდ ნიჭიერმა დავით სირაძემ შეავსო, რომელიც მუშა ფუტკარივით დაჰქროდა მოედანზე — ბურთს „გარეთ“ მოიპოვებდა თუ არა, უმალ „სკაში“ (მეტოქის საჯარიმოში) მიაქანებდა და თანაგუნდელებს ხვავიანად „აპურებდა“. სხვათაგან გამორჩეული იყვნენ გივი კვარაცხელია და გიორგი ბალაშვილიც...

პირველი გოლი კი, როგორც ზემოთ გითხარით, მეხუთე წუთზე გავიდა. რკინიგზელთა პირველივე შეტევა დავით ჭიჭველიშვილმა შედეგიანად დააგვირგვინა. მან გიორგი ბალაშვილის საჯარიმოში ჩაწოდებულს ვარდნაში ჰკრა ფეხი და მეკარეს შანსიც არ დაუტოვა — 1:0.

მასპინძლებს ტემპი არ დაუგდიათ, კვლავაც მეტოქის კარისკენ გაიწიეს, თუმც ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. ტაიმის შუაგულს კი რუსთაველებმა თამაში გაათანაბრეს, მაგრამ იგივეს გაკეთება ანგარიშში ვერ შეძლეს.

მერე ცაკარიასმაც დაუცაცხანა შეგირდებს და „ლოკომოტივიც“ რუსთაველთა საჯარიმოს მიაწყდა. გატანაც მართებდა, მაგრამ გივი კვარაცხელიას ძულმა გაუქარწყლა მიზანი, კაიდარაშვილს კი — მეკარემ.

ტაიმის მიწურულს ისევ სირაძე დატრიალდა საჯარიმოში, ორი მცველიც მოატყუა და კარის წინ ეულად დარჩენილ გალიარდოსაც უპასა, მაგრამ რუსთაველმა ბურნაძემ ვითარება განმუხტა.

პირველის ტყუპისცალივით მსგავსი მეორე ნახევარიც რკინიგზელთა უპირატესობით გაილია. 50-ე წუთზე გალიარდო-ლაცაბიძის ლამაზი კომბინაცია სირაძემ ძლიერი საგოლე დარტყმით დააგვირგვინა.

ამის შემდეგ თბილისელებმა სახიფათო მომენტების ვერგამოყენების გაკვეთილები ჩაატარეს. სირაძემ, კვარაცხელიამ, გალიარდომ და შეცვლაზე შესულმა გილაურმა ისეთები ვერ გაიტანეს, აცილება უფრო ძნელი იყო, რომ იტყვიან.

**ლუის ცაკარიასი**, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი: „სტაბილურობა გვაკლია. ამ თამაშშიც გვქონდა რამდენიმეწუთიანი ჩავარდნები. კარგი იქნება, თუ მოედნის ცენტრში უფრო მეტ აგრესიულობას გამოვიჩენთ. ამ კომპონენტის დასახვეწად ჯერაც ბევრი გვაქვს სამუშაო.

მიხარია, რომ მოვიგეთ და ძალიან საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ. მით უმეტეს, ჩვენმა კონკურენტებმა ქულები დაკარგეს.

ახლა მთავარია, ქუთაისის „ტორპედოსთან“ სათამაშოდ სერიოზულად მოვემზადოთ. ძალიან რთული მატჩი გველის. ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ, მაგრამ არც ფრე იქნება ჩვენთვის ურიგო შედეგი.

ზაზა ჯანაშიას ამბავი ყველამ იცით. ის რეჟიმს არღვევს და დღესაც ამიტომ არ ვათამაშე. ზაზა უკვე ვარჯიშობს ინდივიდუალურად და მისი იმედი ჯერაც მაქვს. თუმც მზად თუ არ იქნება, კვლავაც ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა.

ცხადია, ერთი თავდამსხმელი ნამდვილად არ გვაწყენდა. დიეგო გონსალესის იმედი ჯერ ნაღდად არ მაქვს. იგი საკმაოდ ახალგაზრდაა და ბევრი უნდა ისწავლოს. იმედი მაქვს, მალე ერთ-ორ თავდამსხმელს შევიმატებთ, თუმც არც ამჟამინდელ კონტინგენტზე ვამბობ უარს.

სირაძე თავდასხმაში დავაყენე და ვფიქრობ, ურიგოდ არ უთამაშია. ჩემი პრინციპია, ბიჭებმა რაც შეიძლება ბევრ ამპლუას გაუგონ გემო. ამით ისინი უნივერსალობას შეიძენენ.

კარგია, რომ თავით თამაშში წინსვლა გვაქვს. საქართველოში რომ ჩამოვედი, მაშინვე შევნიშნე, რომ აქაურები თავით ცუდად თამაშობენ. არადა, გუნდში ამდენი ტანმაღალი ფეხბურთელია. ახლა კი ბევრ გუნდს ჩვენგან დიდი პრობლემები ექნება სტანდარტული მდგომარეობებიდან.



ლუის ცაკარიასი

**თბილისი. 27 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 50 (მაყურებელი 25 600)**

### ლოკომოტივი 2:0 გორდა

1:0 ჭიჭველიშვილი (5), 2:0 სირაძე (50)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, მ. ბურნაძე (ზ. ლაცაბიძე 46), კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, გალიარდო (გილაური 83), სირაძე, კაიდარაშვილი (სოსელია 59)
სათადარიგონი: ბობლიაშვილი, რ. ონიანი, გოგინაშვილი, გომელაური
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

**გორდა:** ბედიაშვილი, არჩვაშვილი, ა. ბურნაძე (მიქავა 71), ბერიძე, ჯ. თავბერიძე, ჩოხელი (გოცირიძე 57), ზაზაშვილი, ზ. ლაბაძე (ზვ. ლაბაძე 46), კ. ალადაშვილი, ა. ჯულაძე, სოხაძე
სათადარიგონი: ჩლაიძე, ლეგაშვილი, ბუკია, შიოშვილი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ა. ბურნაძე (30), ზვ. ლაბაძე (77)

მსაჯები: ა. შილაკაძე ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გურჯაანი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 18-17; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 5-4; კარში დარტყმა: 10-3; თამაშგარე: 5-0

**ფოთი. 27 ნოემბერი. 15 საათი. ფაზისი. 100 (მაყურებელი 6 000)**

### კოლხეთი 1:0 ბათუმი

1:0 ქობულაძე (33)

**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუტიძე, სვანაძე, მ. ქობულაძე, ნარსია, გოროზია, ფანჩულიძე, კრასოვსკი (გოგუა 83), ე. გვასალია, ნიჟარაშვილი, გონჩაროვი (მაჩილავა 84)
სათადარიგონი: ჩემია; შ. ლონდაძე, კვერნაძე, მ. ფილია
მწვრთნელი: სოსო ფილია

**ბათუმი:** ტოგონიძე, მახარაძე, მინდაძე, არჩვაძე, კობიძე (ქიცარავა 88), ხუჯაძე, თურმანიძე (რომანაძე 86), ტულუში, დარჩიძე, მაჭუტაძე, გ. მოდებაძე (ყულეჯიშვილი 74)
სათადარიგონი: ახალაძე, სეფერთელაძე, ბელთაძე, ჩიჩუა
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: მახარაძე (56), ტულუში (89)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ნ. რუხიშვილი; გ. კაპანაძეშვილი (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 11-23; კუთხური: 7-1; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 6-1; თამაშგარე 3:6

# ბათუმი ვერ შესწვდა ზესაო

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**გუშინ** მორიგი ზღვისპირული დერბი გაიმართა, ჩვეული ჟინით და დაძაბულობით გამორჩეული. მოთამაშეთა მოჭარბებული ჯიგრიანი ბრძოლის ხილვა კარგი სანახავი იყო.

მაღალძრულ „ბათუმს“ თუ ზეექვსეულში შეღწევა სურდა, უცილობლად უნდა მოეგო. რჩეულთა შორის მოსახვედრი გზა უდავოდ „კოლხეთის“ გავლით იყო შესაძლებელი და აჭარლებს საამისო იმედიც ჰქონდათ.

სხვაგვარად ფიქრობდნენ კოლხები, რომელთათვის მოგება უკვე ზეექვსეულის, ფაქტობრივად, განაღდებას ნიშნავდა. ამიტომაც იყო, ფილიას შეგირდებმა შესაშური ენერგიით რომ იბრძოლეს და უმნიშვნელოვანესი სამი ქულაც ალალად დაიმსახურეს.

არც სტუმრებს უნდა დავუკარგოთ თავგამოდება და არც არავის გაუკვირდებოდა, მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო, განსაკუთრებით გულსატკენი მათთვის პირველი ტაიმის ბოლო წუთები იყო, როცა წუთის ინტერვალში გოლის გატანის ორი ჩინებული შანსი ქარს გაატანეს. პირველ ეპიზოდში ვანო მახარაძემ შეტევაში ჩართვა მამუკა გვასალიასთან პირისპირ შესვლით აღნიშნა, თუმცა გატანას ცოტა დააკლდა, ბურთი მეკარის ფეხს მოახვედრა. მეორედ კი ისევ ლიბეროდ გარჯილმა მაჭუტაძემ სცადა გატანა. მოდებაძის და ქუტიძის ჭიდილში ბურთი მას კარიდან შვიდიოდ მეტრში მოუგორდა, მაგრამ ლამის ცარიელ კარს სასწაულებრივ ააცილა.

ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც „კოლხეთი“ დაწინაურდა. 33-ე წუთზე სვანაძემ გონჩაროვს მოხდენილად ჩაუგდო ბურთი საჯარიმოში, ვარდნაში მაჭუტაძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ ქობულაძეს დაასვა ფეხზე. მასაც ხუთი მეტრიდან ტოგონიძის დამწუხრება არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში „ბათუმი“ იერიშების ორგანიზებას ლამობდა, მაგრამ საიმედოდ მოთამაშე კოლხთა უკანახაზს ვერაფერს აკლებდა. მასპინძლები თავსაც კარგად იცავდნენ და არც კონტრშეტევებში მოიკოჭლებდნენ. მეორე ტაიმის ერთი მესამედის გავლის შემდეგ დაიწყო ის შვიდწუთიანი მონაკვეთი, რომლის დროსაც რამდენიმე აშკარა ხიფათი შეიქმნა სტუმართა კართან. ამას დასაბამი ელდარ გვასალიას აზრაგანმა მისცა, რომელიც ოდნავ არაზუსტი გამოდგა. სამ წუთში გონჩაროვმა დაჰკრა თავური, კვლავ არაზუსტად და ბურთმა ხარიხას ზემოთ გაიზუზუნა. არ გასულა დიდი ხანი და ჯერ კრასოვსკის რთული დარტყმულის მოგერიება ტოგონიძეს მოუხდა, ხოლო იქვე გონჩაროვის თითქმის ანალოგიური სიტუაციიდან გასროლილს არჩვაძე ვარდნაში გადაეღობა.

ამ ზეწოლას „ბათუმმა“ კი გაუძლო, მაგრამ შეტევაში არაფერი გამოუვიდა. ასლან ბალაძემ ინერტულ მოდებაძეს ყულეჯიშვილი შეუნაცვლა, თუმც კოლხთა საჯარიმოში ხიფათის შექმნა მაინც ძნელი საქმე გამოდგა.

ამასობაში კვლავ შეგვახსენა თავი გონჩაროვმა, მან 25 მეტრიდან ტყვიასავით გაისროლა ბურთი და ტოგონიძე რომ არა, ანგარიში გაიზრდებოდა.

ბოლო წუთები, რა თქმა უნდა, დაძაბულობით გამოირჩა. სტუმართა თავგამოდება სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა და ქულის გადარჩენის სუნი უდიოდა. თუმც თავგამოდება ერთია და შედეგი მეორე. სერგო კვარაცხელიას სასტვენმა სტუმრებს შეტევაში მიუსწრო და სრული იმედგაცრუებაც მოუტანა. ფაქტობრივად, ზეექვსეულის მცირე შანსი ფოთში დაიკარგა და სრულიად ფუჭი გამოდგა ბათუმელთა თავგამოდება.

# თამაშში ალამი აიწია, გარეთ მუშტი

მამუკა კვანტალიანი გურჯაანიდან

ბურჯაანი. 27 ნოემბერი. 15 საათი. ფაცით მონიანი. 100 (ტევადობა 10 000)

## მილანი 2:2 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 სამხარაძე (45), 1:1, 1:2 კოშკაძე (56, 72), 2:2 ლამბაშიძე (88) | |
| მილანი: მამალაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, გიორგაძე, მ. სამხარაძე, მეტონიძე, დანელია (ქალიაშვილი 64), ქარჩავა (ლამბაშიძე 73), ცკაძე, ლულუნაძე (ვარიაგავა 46), შელეგია. სათადარიგონი: ბალანაძე, ვარდიშვილი, დათუაშვილი. მწვრთნელი: ალექსანდრე არევაძე | მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, მესხი, ბაჯელიძე (გრიგორიევი 77), კოშკაძე, თუთარაშვილი (მაზანაშვილი 71), ი. შენგელია, ქინქარაული, ჩილვინაძე (ქადაგიძე 85). სათადარიგონი: გ. გაბელია, ადუაშვილი, ბართია, გ. მ. რევაზიშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია |
| გაფრთხილება: დანელია (43), ბაჯელიძე (43) | |
| მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი | |
| ჯარიმა: 16-21; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 3-2; კარში დარტყმა: 7-5; თამაშგარე: 3-4 | |

„–დღეს არაფერს გეტყვი, თბილისში გნახავ და იქ მოგივლი“ — ნამატჩევს მსაჯთა ოთახში შეჭრილი „მილანის“ მეპატრონე ავთანდილ მანგოშვილი მუქარად გადაქცეულიყო. „ამ კაცს რაღ არ ვეუბნები საყვედურს — მანგოშვილმა თანამსაჯ ავთანდილ სამხარაძეს მკლავზე მოჰკიდა ხელი — შენ კი, მეშკოვ, თბილისში გაგისწორდები“ — ამ სიტყვებით დაშორდა წნორელთა პატრონი კედელზე აკრულ ალექსანდრე მეშკოვს და მის თანაშემწე გურამ ჩიგოგიძეს.

„ჩვენ ფეხბურთიდან მაინც მივდივართ, მაგრამ ამათ ფეხებს დავამტვრევ და ისე გაგეცლებით“ — ემოციებს აყოლილმა „მილანის“ პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა მუქარა მატჩის ინსპექტორ გია ძამუკაშვილთან დატოვა, ხოლო ვიღაც ახალგაზრდა კაცმა, ვისაც იქვე მყოფი პოლიციელები თითქოს გარეთ გაყვანას უპირებდნენ, ცაცია გაიქნია და ჩიგოგიძეს სახეში გაარტყა.

წნორელებს პრეტენზიები არც მეოთხე არბიტრის, მალხაზ მაისურაძის მისამართით გამოუთქვამთ. ინსპექტორ ძამუკაშვილს ცოტა უსაყვედურეს და იქაურობასაც გაეცალნენ. სხვათა შორის, მატჩის ინსპექტორი ნამატჩევს მსაჯებს არ უნდა მოშორდეს, ყველაფერი უნდა აკონტროლოს და არა გვერდზე ოთახში უსმინოს მასპინძელთა პრეტენზიებს.

მაინც რამ გააგიჟა წნორელები, რატომ გაიწიეს მსაჯებისკენ? უკმაყოფილება მეორე ტაიმის დასაწყისში „მილანის“ გატანილ და არჩათვლილ გოლს მოჰყვა. მარჯვენიდან გარღვევაზე გაჭრილმა ქარჩავამ საჯარიმოში მყოფ სამხარაძეს ზუსტად მიაწოდა ბურთი და მირზამაც გაიტანა, მაგრამ ჩიგოგიძემ ალამი აღმართა და თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა „მილანს“.

იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა? გადაჭრით ძნელი სათქმელია, თუმც მომენტი მართლაც წააგავდა წესების დარღვევას. ნამატჩევს თავად მილანელმა სამარქაფოებმა აღიარეს, თამაშგარე იყოო, ხოლო კლუბის წარმომადგენელს გასახდელში მსაჯებს რომ გინებით იკლებდა, წამოსცდა, ნახევარმეტრიანი თამაშგარე არ დაგეფიქსირებინა და გაგეტარებინა, ეს ლოცვა-კურთხევა ხომ აგცდებოდაო.

ავთანდილ მანგოშვილი, მარიამ ფირცხალაიშვილი და მათი მეგობრები ფეხბურთისთვის იხარჯებიან. წნორში ახალი სტადიონიც შენდება და კიდევ რამდენიმე პროექტი ჩაუფიქრებიათ „მილანის“ ხელმძღვანელებს. ამიტომ იმსახურებენ ისინი ჩვენს პატივისცემას და თანაგრძნობას, მსაჯებისგან დაჩაგრული „მილანიც“ გვინახავს, მაგრამ ფეხბურთში ფულის ჩამდებ ხალხს კლუბში საქმეც საკადრისად უნდა ჰქონდეს აწყობილი. სხვა თუ არაფერი, გუნდს მწვრთნელი სჭირდება, არა ისეთი, პრეზიდენტს რომ ეხვეწება, ფეხბურთელმა შეცვლა ითხოვა და რა ვქნაო. ძალაგამოლეული მოთამაშე რომ გამოსაცვლელია, განა ამას კლუბის თავკაცის დასტური სჭირდება? ამიტომაც მგონია „მილანის“ ყველა მცდელობა განწირული, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მიზეზებზე.

თავად თამაში დიდი ვერაფერი სანახავი იყო. მეტოქეები კი იბრძოდნენ, მაგრამ ამდენი ტექნიკური წუნიც მიუღებელია. პირველ ტაიმში სტუმარს მასპინძლისთვის თითქოს არაფერი დაუთმია, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტები წნორელებმა შექმნეს. ჯერ შელეგიამ გაარღვია ფლანგიდან „მერანის“ უკანა ხაზი და ლულუნაძეს საგოლედ დაუგორა ბურთი, მაგრამ მილანელს დარტყმა სუსტი გამოუვიდა და ნაჭყეპიამაც ზუსტად შეარჩია პოზიცია. მერე სამხარაძემ მოიქნია საჯარიმოს გარედან ლონივრად. ნაჭყეპიამ ნახტომში ბურთი უკუაგდო, რასაც ისევ ლულუნაძემ მიუსწრო, თუმც საკადრისად ველარ დაარტყა და წაქცეულ მეკარეს ბურთი ნელა მიუგორდა.

„მილანი“ ტაიმის ბოლო წუთზე მაინც დაწინაურდა. ქარჩავამ მარცხნიდან საჯარიმოს კიდესთან სამხარაძეს პასი მიაწოდა. მირზამ ბურთი მიიღო და საჯარიმოს ხაზის გასწვრივ დაიწყო მოძრაობა. „მერანის“ მცველებმა მისი შეჩერება ვერ შეძლეს და მილანელმაც ძლიერად დაარტყა. ნაჭყეპიას ფეხი დაუსხლტა, ნახტომში ბურთს ვერ შესწვდა და მასპინძელთა მცირერიცხოვანი ქომაგებიც სიხარულისგან აყიამულდნენ.

მეორე ტაიმში ჯერ ის მომენტი იყო, მეშკოვს და ჩიგოგიძეს ნამატჩევს ცხვირში რომ ამოადინეს, ხოლო მერე სტუმარმა ხელთ იგდო სადავეები და თამაშიც სათავისოდ შეატრიალა. ავჭალელთაგან საუკეთესო კოშკაძემ ჯერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ და საჯარიმოში გაჩხერილ ბურთს უყელა და დაალონა მამალაძე, მერე კი მოედნის სიღრმიდან გადმოგდებული ბურთი საზრიანად შეიტანა საჯარიმოში, მცველი ზურგსუკან მოიქცია და მეკარეც უშანსოდ დატოვა.

ის იყო, „მერანს“ გამარჯვება უნდა ეზეიმა, რომ მასპინძლებმა სახიფათოდ შეუტიეს. ლამბაშიძემ თანაგუნდელთან კედელი გაითამაშა, საჯარიმოში ფეხი შედგა თუ არა, ბურთს ჭვინტი ამოსცხო და ნაჭყეპიას ახლო ცხრიანში გაუტანა.

ნამატჩევს რაც იყო, ის თავში მოგახსენეთ, თუმც რაც მოხდა, პირადად ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა. ეროვნულ ჩემპიონატში ისეთები გვინახავს და გვახსოვს, რომ იმათთან გურჯაანული ინციდენტი რა მოსატანია. პასუხს კი ფეხბურთის ფედერაციისგან ველით, გუშინდელი დღეც წარსული დარღვევებისადმი საკადრისად დაუსჯელობის შედეგი იყო.







ალექსანდრე მეშკოვი მარიამ ფირცხალაიშვილმა და ავთანდილ მანგოშვილმა კედელთან მიაყენეს



ბოლნისელ პოლიციელებს ვიტელთა დაშოშმინება მოუხდათ

# გარჩევა ბოლნისში

ბოლნისი. 27 ნოემბერი. 15 საათი. თემურ სტეფანია. 800 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 ბაქრაძე (12) | |
| სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, ზ. ცხოვრიშვილი, გ. მხაიძე (ხუტუა 82), გოგიტაძე, ბაქრაძე, კვაკვასკირი, დათუშვილი (კრავეიშვილი 89), კაციაშვილი, ისიანი (დათუაძე 86), შავგულიძე. სათადარიგო: ბათიაშვილი. მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ვიტ ჯორჯია: მერლანი, ლ. მერებაშვილი, ჯ. მუჟირი, იან კარეელი (ქოქიაშვილი 74), გველესიანი, ვ. გოჩაშვილი (ბერელიძე 80), დილმელაშვილი, ლ. ნონაძე, ყიფიანი, ადამია (ც. მერებაშვილი 65), მელქაძე. სათადარიგონი: ქურაძე, თავდგირიძე, დ. ბოლქვაძე, ფეიქრიშვილი. მწვრთნელი: ჯანი კარნევალი |
| გაფრთხილება: დილმელაშვილი (29), სიდამონიძე (42), ადამია (63), მელქაძე (90) | |
| გაძევება: ყიფიანი (58) | |
| მსაჯები: ჯ. მესხი (ზუგდიდი); ზ. მჭედლიშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიანი | |
| ჯარიმა: 19-18; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 2-4; თამაშგარე: 5-4 | |

ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან

**ბოლნისის „სიონმა“** ის სამი ქულა მიითვალა რომლითაც უფრო დამშვიდებულად იგრძნობს თავს ზეძვსულში. ამ შემოდგომაზე ბოლნისელებმა თბილისური გუნდებიდან ოდენ „მერანის“ ძლევა მოახერხეს, გუშინ კი „ვიტ ჯორჯიაც“ უქულოდ გაისტუმრეს. „დინამოსთან“ სტუმრად და „ლოკომოტივთან“ შინ დამარცხებული „სიონი“ მაქსიმალურად მობილიზებული დაუხვდა ვეტერინარებს. მატჩის დებიუტიც დაახლოებით 20 წუთი, მასპინძლებისა იყო. თემურ მახარაძემ მთავარ ძალებს მოედნის ცენტრში მოუყარა თავი და მისმა შუახაზელებმაც კარგად შეასრულეს დავალება. „სიონს“ უფრო გამოსდიოდა მწვავე შეტევები სისწრაფისა და ზუსტი პასის ხარჯზე. განსაკუთრებით მარცხენა ფლანგი აქტიურობდა, საიდანაც მერლანის კარის წინ ბურთმა არაერთხელ გაიზუზუნა სახიფათოდ. მატჩში ერთადერთი გოლიც სწრაფად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გავიდა. ბაქრაძემ კარისკენ ზურგით მდგომ შავგულიძეს მიაწოდა, რომელმაც ერთი შეხებით დაუბრუნა და საჯარიმოში ბურთიანად შენავარდებულმა ბაქრაძემ მახვილი კუთხიდან გაიტანა.

სტუმრებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ დამხვდურები დაცვაში თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ და „ვიტ ჯორჯიამაც“ სახეირო ვერაფერი შექმნა. ვეტერინართა ფორვარდებს მეურვეები გოჯსაც არ უთმობდნენ, ყიფიანიც მეტწილად უბურთოდ იყო და მაღალი ჩაწოდებებითაც არაფერი გამოდიოდა „სიონის“ კართან. მხოლოდ ერთხელ შეცდა ვოლკოვი გამოსვლაზე როცა კუთხურიდან ჩაკიდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს.

სცენარი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეიცვალა. „ვიტ ჯორჯიამ“ მასპინძელთა სანახებში დაიბუდა და ყველა ხერხი სცადა, როგორმე გაექვითა. ბოლნისელები აშკარად დაცვაზე გადაერთვნენ, რასაც რამდენიმე შეცდომა მოჰყვა, თუმც ვეტერინარებმა ვერ ისარგებლეს.

მთავარი ამბები 57-ე წუთზე დაიწყო. სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს. „სიონის“ საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ბურთმა კარში შესვლა მოინდომა, მაგრამ ვოლკოვმა მოიხელთა. ეს ეპიზოდი გახდა სადავო. ვიტელებმა ხელები ალაპყრეს, ბურთი კარის ხაზს შიგნით იყოო. ყიფიანმა გვერდით მსაჯს თავისი სიმართლის მტკიცება დაუწყო, მაგრამ ალმიანმა, ისევე როგორც ბევრმა სხვამ, ალბათ არეულობაში ვერ დაინახა, გავიდა თუ არა გოლი. გარჩევა სამ-ოთხ წუთს გაგრძელდა. ჯანი კარნევალიმ ფეხბურთელების დაწყნარებას გვარიანად ნერვები დაახარჯა. მატჩის მთავარმა არბიტრმა მტყუან-მართალი წითელი ბარათით გაარჩია და ყიფიანს მოედანი დაატოვებინა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, სტუმრები უფრო გააფთრებით ეკვეთნენ მეტოქეს. რამდენიმე მომენტიც შექმნეს, თუმცა მედგრად მდგომ „სიონს“ მაინც ვერ გაუტანეს. იტალიელმა მწვრთნელმა ახალი ძალებიც ჩართო თამაშში, მაგრამ ამაოდ.

შეხვედრის ბოლომდე მოედანზე დაძაბულობა ნელ-ნელა მატულობდა, რასაც ფეხბურთელების მხრიდან ალაგ-ალაგ უხეშობაც მოჰყვა, ნამატჩევს კი „ვიტ ჯორჯიას“ რიხზე მსაჯებს დაატყდათ თავს. ბოლოს ბოლნისელი ფორმიან-უფორმოების ჩარევაც გახდა საჭირო სტუმართა დასაშოშმინებლად.

თერჯოლა. 27 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 50 (ტევადობა 5 000)

## მეტალურგი 0:2 დილა

0:1 ჩიტაია (41), 0:2 ძოძუაშვილი (80)

**მეტალურგი:** ა. ლაბაძე, კობაიძე, გურეშიძე, მაღლაკელიძე, გაბრიჭიძე (კ. თავბერიძე 84), მ. ლონლაძე (ორმოცაძე 41), სუხიაშვილი, სულაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (ნიშნიანიძე 56), ენდელაძე, ფოფხაძე
სათადარიგონი: მურჯიკნელიშვილი, გოგაძე, შველიძე
**მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე

**დილა:** თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, დავითნიძე, ფეხუაშვილი, რაზმაძე (ა. ხმალაძე 63), ლომიძე, ჯობაძე, სულთანიშვილი (ოლეგაშვილი 68), ბ. ჩიტაია, საყვარელიძე (სომხიშვილი 78), ძოძუაშვილი
სათადარიგონი: ა. მაისურაძე, ხორგუაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე, ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი); გ. ასკუროლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ჯარიმა: 8-17; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 6-6; კარში დარტყმა: 6-11; თამაშგარე: 3-13

# უფულობა უქულობაა

**ივანე კაციტაძე** თერჯოლიდან

**ზესტაფონური** გუნდი ისევ უპატრონოდ და უფულოდაა, დანაპირებსაც უიმედოდ ელის. აქედან გამომდინარე, შედეგიც სახეზეა. „მეტალურგი" თამაშ თამაშზე აგებს და ვინძლო სულ მალე ცხრილში ფსკერზეც აღმოჩნდეს. დაბეჩავებულ იმერლებს გუშინ „დილამაც" ართვა 3 ქულა, თანაც ქართლელებს ორბურთიანი კი არა, გაცილებით დიდი სხვაობით შეეძლოთ მატჩის მოგება. ვლადიმერ ხაჩიძემ „დილას" შემტევი ფეხბურთი ათამაშა. გამოკვეთილ თავდამსხმელებს — ძოძუაშვილს და ბექა ჩიტაიას შუახაზელები — ჯობაძე, საყვარელიძე და სულთანიშვილი აქტიურად ეხმარებოდნენ და ზესტაფონელთა დაცვაც მუდმივ ზეწოლას განიცდიდა. პირველი სახიფათო მომენტი „დილამ" მე-5 წუთზე შექმნა, თუმცა ძოძუაშვილმა მეკარეს ვერ აჯობა და გორელები კუთხურსღა გამორჩნენ. კუთხურიდან ჩაწოდებულს დავითნიძემ შეაგება თავი და ლაბაძემ იყოჩაღა. ორ წუთში „ჯორჯოს" მორიგი თავური ოდნავ ასცდა „მეტალურგის" კარს. ზესტაფონელებმა შუა ტაიმში თითქოს გაათანაბრეს თამაში და ორი სახიფათო შეტევაც განახორციელეს. გორელთა მეკარემ ირაკლი ხაჭაპურიძის მიერ საჯარიმოდან დარტყმული უხერხულად კი მოიგერია, მაგრამ ზესტაფონელთაგან დასამტკებლად თავი არავის შეუწუხებია. მერე ფოფხაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე. მას თავად შეეძლო შეტევის დაგვირგვინება, მაგრამ შეყოვნდა. ენდელაძეს კი დაუგორა დასარტყმელად, თუმცა მან კარის ჩარჩოს ააცილა.

„დილა" გაცილებით მწვავედ უტევდა. მე-40 წუთზე ძოძუაშვილი კარგად გაისარჯა მარცხენა ფლანგზე და ჩიტაიას ჩააწოდა კარის სიახლოვეს. მართალია, ბექამ ეს შანსი ქარს გაატანა, მაგრამ შეცდომის გამოსასწორებლად წუთიღა დასჭირდა გორელს. ჩიტაიამ კარგად ისარგებლა ზესტაფონელ მცველთა დაუდევრობით და ანგარიში გახსნა.

გორელები მეორე ნახევარშიც ჯაბნიდნენ მეტოქეს. „მეტალურგის" კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა. მარტო ძოძუაშვილს ზედიზედ სამჯერ მართებდა გატანა, ჯობაძეც და საყვარელიძეც სულ ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ მათ ლაბაძეს ვერაფერი დააკლეს. თუმც „მეტალურგის" კარის დარაჯმა შესვენების შემდეგ ერთი მაინც გაუშვა. გორელებმა მარჯვნიდან შეუტიეს და ჯობაძემ ფეხზე დაასვა ბურთი სამეკაროს წინ უყურადღებოდ დარჩენილ ძოძუაშვილს, რომელსაც ამჯერად აღარ გასჭირვებია გატანა.



თერჯოლაში გორელებს უხაროდათ

ამის შემდეგ ზესტაფონელებს ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, თუმცა ნიშნიანიძეს და ენდელაძეს ამის შნო არ აღმოაჩნდათ.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 13 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - დარასელია | დინამო |
| 8 - შაშიაშვილი | სიონი |
| კოშკაძე | მერანი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |
| 6 - დიდავა | ტორპედო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 15 | 2 | 2 | 43:7 | 47 |
| ტორპედო | 19 | 14 | 3 | 2 | 42:11 | 45 |
| ლოკომოტივი | 19 | 14 | 1 | 4 | 32:9 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 13 | 1 | 5 | 31:12 | 40 |
| სიონი | 19 | 9 | 2 | 8 | 24:23 | 29 |
| კოლხეთი | 19 | 8 | 3 | 8 | 20:27 | 27 |
| მერანი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:32 | 20 |
| ბათუმი | 19 | 4 | 5 | 10 | 13:24 | 17 |
| მეტალურგი | 19 | 5 | 1 | 13 | 10:38 | 16 |
| დილა | 19 | 4 | 3 | 12 | 11:26 | 15 |
| მილანი | 19 | 3 | 4 | 12 | 11:37 | 13 |
| გორდა | 19 | 4 | 0 | 15 | 17:36 | 12 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

# ფედერაცია სასჯელს გადაურჩა
## უეფა საქართველო — რუსეთის ჩაშლილმა მატჩმა დააფიქრა



**12 ოქტომბერს,** თბილისში საქართველო — რუსეთის ევროპის ჩემპიონატის ჩაშლილი შესარჩევი მატჩისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას სანქციებს გადაურჩა. უეფას სადისციპლინო და კონტროლის კომიტეტმა თბილისში მომხდარი ფაქტის გარშემო 21 ნოემბერს 8-კაციანი შემადგენლობით იმსჯელა და ფედერაცია დარღვევების ნაკლებობის გამო დაუსჯელი დატოვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელზე 26 ნოემბერს ზემოაღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერილ ფაქსში საქართველო — რუსეთის მატჩის თაობაზე ნათქვამია:

1. შეწყდეს ყველანაირი ქმედებები, რადგან არანაირი სადისციპლინო ზომები არ იქნება მიღებული.

2. ეს გადაწყვეტილება უეფას სადისციპლინო წესების 49-ე მუხლის შესაბამისად საბოლოოა.

წერილში ასევე ნათქვამია, რომ ფედერაციამ უეფას სათანადოდ, მატჩის დაწყებამდე აცნობა „ლოკომოტივის" სტადიონის მდგომარეობის შესახებ. არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ მომხდარი ინციდენტი მასპინძლების ბრალი იყო.

სადისციპლინო და კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა შესარჩევი მატჩების ოთხდღიანი ინტერვალით ჩატარების მიზანშეწონილობაზე და აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება, თუ თამაშები ხუთი-ექვსი დღის შუალედით მაინც ჩატარდება.

ალბათ მოგეხსენებათ, 12 ოქტომბერს ჩაშლილი მატჩი უეფას რეგლამენტის მიხედვით მეორე დღეს უნდა გადათამაშებულიყო, მაგრამ რუსებს 16-ში ვოლგოგრადში ალბანელებთან თამაში ელოდათ და ძალების აღსადგენ-მოსამზადებელი დროის ნაკლებობის გამო თბილისში 13 ოქტომბერს მატჩის ხელახალი გამართვა არ ეპიტნავათ. ქართველებმა რუსებს დაუთმეს და გადაწყდა, რომ თამაში უეფასგან დაწესებულ სარეზერვო დღეს — 30 აპრილს ჩატარდება.

საქართველო — რუსეთის ელექტროენერგიის შეწყვეტის გამო ჩაშლილმა შეხვედრამ კი შესაძლოა, უეფა აიძულოს, შესარჩევის მატჩების დადგენილი კალენდარს ერთხელაც გადახედოს და სამომავლოდ თამაშებს შორის ინტერვალი გაიზარდოს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს 14 ჩემპიონატი
პირველი წრე

### აღმოსავლეთი

**მეთორმეტე ტური**

26 ნოემბერი

კახეთი — სამგორი 9:3; გორდა 2 — ხოოვეტი 0:2; მაუდი — პოლიციის აკადემია 1:0; ნორჩი დინამოელი — კრწანისი 4:1; შერეთი — დინამო 3 1:1; სიონი 2 — დინამო 2 (სოხ.) 1:1; შავნაბადა — ერთობა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხოოვეტი | 12 | 10 | 1 | 1 | 33:9 | 31 |
| დინამოელი | 12 | 9 | 2 | 1 | 34:10 | 29 |
| დინამო 3 | 12 | 9 | 2 | 1 | 31:8 | 29 |
| შერეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:9 | 26 |
| მაუდი | 12 | 8 | 0 | 4 | 27:14 | 24 |
| სიონი 2 | 12 | 5 | 5 | 2 | 22:13 | 20 |
| კახეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 20:20 | 16 |
| კრწანისი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:21 | 14 |
| გორდა 2 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:19 | 11 |
| შავნაბადა | 12 | 2 | 5 | 5 | 9:19 | 11 |
| სამგორი | 12 | 3 | 1 | 9 | 13:33 | 10 |
| დინამო 2 (სოხ.) | 12 | 2 | 3 | 7 | 14:29 | 9 |
| პოლ. აკადემია | 12 | 2 | 1 | 9 | 14:27 | 7 |
| ერთობა | 12 | 0 | 1 | 11 | 6:46 | 1 |

### ცენტრალური

**მეცამეტე ტური**

25 ნოემბერი

დილა 2 — მესხეთი 2:4; ფეხბურთის აკადემია — თორი 0:3; ლიახვი — ოლიმპი 1:0; პრემა — ვარძია 4:0; მცხეთა 2 — ვიტ ჯორჯია 2 0:4; ვაკე 91 — ცხუმი 0:0

26 ნოემბერი

ცხინვალი 2 — ყაზბეგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 13 | 12 | 1 | 0 | 31:5 | 37 |
| მესხეთი | 13 | 10 | 2 | 1 | 38:10 | 32 |
| თორი | 13 | 8 | 2 | 3 | 36:13 | 26 |
| ვაკე 91 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:9 | 24 |
| მცხეთა 2 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:21 | 21 |
| ყაზბეგი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:12 | 18 |
| პრემა | 13 | 5 | 2 | 6 | 17:18 | 17 |
| ცხუმი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:11 | 17 |
| ოლიმპი | 13 | 5 | 1 | 7 | 15:21 | 16 |
| ცხინვალი 2 | 13 | 5 | 0 | 8 | 18:27 | 15 |
| ლიახვი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:29 | 14 |
| ფეხბ. აკადემია | 13 | 3 | 3 | 7 | 15:25 | 12 |
| ვარძია | 13 | 2 | 2 | 9 | 10:36 | 8 |
| დილა 2 | 13 | 0 | 0 | 13 | 10:46 | 0 |

### დასავლეთი

**მეთოთხმეტე ტური**

25 ნოემბერი

ლუკა — სალხინო 4:2; რაჭა — ინტერი 4:1

26 ნოემბერი

შევარდენი — კოლხეთი 2 2:2; დინამო (ზუგ.) — სქური 0:3; ჩიხურა — სულორი 3:0; მეშახტე — ოდიში 2002 4:2; ბათუმი 2 — სსუ 3:1; მაღაროელი — დინამო (სოხ.) 3:0 (დინამო არ გამოცხადდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 13 | 12 | 0 | 1 | 33:8 | 36 |
| სქური | 14 | 11 | 1 | 2 | 26:14 | 34 |
| მეშახტე | 14 | 10 | 1 | 3 | 26:14 | 31 |
| ლუკა | 14 | 10 | 0 | 4 | 26:22 | 30 |
| რაჭა | 14 | 8 | 1 | 5 | 34:19 | 25 |
| მაღაროელი | 14 | 7 | 4 | 3 | 27:17 | 25 |
| ინტერი | 13 | 6 | 2 | 5 | 26:20 | 20 |
| ოდიში 2002 | 14 | 5 | 4 | 5 | 24:28 | 19 |
| ბათუმი 2 | 14 | 5 | 1 | 8 | 18:20 | 16 |
| შევარდენი | 15 | 4 | 3 | 8 | 16:26 | 15 |
| სულორი | 14 | 3 | 5 | 6 | 18:20 | 14 |
| სსუ | 14 | 3 | 4 | 7 | 14:20 | 13 |
| დინამო (ზუგ.) | 14 | 3 | 2 | 9 | 16:33 | 11 |
| კოლხეთი 2 | 14 | 2 | 5 | 7 | 16:21 | 11 |
| სალხინო | 13 | 2 | 3 | 8 | 16:31 | 9 |
| დინამო (სოხ.) | 14 | 1 | 2 | 11 | 10:33 | 5 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფედერაციის თანამშრომელს ნოდარ კაკულიას დედის გარდაცვალების გამო

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელს ნოდარ კაკულიას დედის გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" სამძიმარს უცხადებს ფედერაციის თანამშრომელს ნოდარ კაკულიას დედის გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" თანაუგრძნობს ფედერაციის თანამშრომელს ნოდარ კაკულიას დედის გარდაცვალების გამო

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-მიუნხენი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ჰერტა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 18.30 | 004 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-არმინია | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.30 | 007 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 20.30 | 008 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.30 | 009 | ჰანოვერი-შალკე | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ნოემბერი | | | | | | |
| 22.00 | 010 | როიტლინგენი-დუისბურგი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 22.00 | 011 | ობერჰაუზენი-ალემანია | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-აინტრახტი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 013 | უნიონი-ლიუბეკი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 014 | ბრაუნშვაიგი-ტრირი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 015 | ფრაიბურგი-ბურგჰაუზენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ალენი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 18.00 | 017 | კიოლნი-ფიურტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23.15 | 018 | სტ.პაული-კარლსრუე | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ნოემბერი | | | | | | |
| 22.00 | 020 | ბაბელსბერგი-ფერლი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 22.30 | 021 | ლევერკუზენი(მ)-აუე | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.30 | 022 | კიოლნი(მ)-მიუნსტერი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 023 | ქემნიცი-ვატენშაიდი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 17.00 | 024 | დინამო-ესენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 025 | ურდინგენი-დრეზდენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 17.00 | 026 | პადერბორნი-კილი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.00 | 027 | ვერდერი(მ)-ჰამბურგი(მ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-დორტმუნდი(მ) | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ნოემბერი | | | | | | |
| 22.00 | 030 | ზაარბრიუკენი-ოფენბახი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 031 | აინტრახტი(მ)-ლაუტერნი(მ) | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.30 | 032 | შვაინფურტი-ერფურტი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 17.30 | 033 | აუგსბურგი-აალენი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.30 | 034 | ფულენდორფი-ნოინკირხენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 035 | ფულენდორფი-ნოინკირხენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 17.30 | 036 | ელვერსბერგი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 17.30 | 037 | კიკერსი-ჰოფენჰაიმი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 17.00 | 038 | ზიგენი-ვეჰენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 21.00 | 039 | დარმშტადტი-ბაიერნი(მ) | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 040 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 041 | არსენალი-ასტონ ვილა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 042 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 043 | ბლეკბერნი-ფულემი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 045 | ჩელსი-სანდერლენდი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 046 | სიტი-ბოლტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 047 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 19.00 | 048 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 16.15 | 049 | ლივერპული-მანჩესტერი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.15 | 050 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 24.00 | 051 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |

ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 056 | ბრაიტონი-რედინგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 057 | ქოვენტრი-პრესტონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.00 | 058 | ჯილინგემი-სტოკი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 059 | გრიმსბი-ლესტერი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 060 | მილუოლი-ბრედფორდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 061 | ნორვიჩი-დერბი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 062 | ნოტინგემი-იფსვიჩი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 063 | პორტსმუთი-უოლსოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 064 | პორტსმუთი-უოლსოლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 065 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 066 | უოტფორდი-ბარნსლი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 067 | უიმბლდონი-უენსდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 21.35 | 068 | როტერჰემი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

ინგლისი. II დივიზიონი. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ნოემბერი | | | | | | |
| 23.45 | 069 | ქუინზ პარკ-კარდიფი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 070 | ბარნსლი-ოლდემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 071 | ბლეკპული-ნოტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 072 | ბრისტოლი-ქრიუ | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 073 | ჩელტენემი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 074 | ჩესტერფილდი-ჰადერსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 075 | კოლჩესტერი-პლიმუთი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 076 | პორტ ვეილი-მენსფილდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 077 | სტოკპორტი-უიკომბი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 078 | სუინდონი-პიტერბორო | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 079 | ტრანმერი-ლუტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 080 | უიგანი-ნორთჰემპტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

ინგლისი. III დივიზიონი. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 081 | ბორნმუთი-სკანთორპი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 082 | ბოსტონი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 083 | ბური-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 084 | კემბრიჯი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 085 | დარლინგტონი-საუთენდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 086 | ჰარტლპული-კიდერმინსტერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 087 | ოქსფორდი-ლინკოლნი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 088 | რაშდენი-როვერსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 089 | რაშდენი-როვერსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 090 | სუონსი-შრუსბერი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 091 | ტორკი-როჩდეილი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 092 | რექსემი-ჰალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 093 | იორკი-კარლაილი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

იტალია. სერია "A". XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 094 | კომო-უდინეზე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 23.30 | 095 | რეჯინა-კიევო | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 096 | ატალანტა-პერუჯა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 097 | ბოლონია-მოდენა | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 18.00 | 098 | ემპოლი-მილანი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 18.00 | 099 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 100 | ინტერი-ბრეშა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 18.00 | 101 | პიაჩენცა-ლაციო | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 18.00 | 102 | ტორინო-პარმა | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.30 | 103 | რომა-იუვენტუსი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |

იტალია. სერია "B". XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ნოემბერი | | | | | | |
| 23.30 | 104 | ნაპოლი-პალერმო | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 105 | ასკოლი-ჯენოა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 18.00 | 106 | ბარი-ანკონა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 107 | კალიარი-სალერნიტანა | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 18.00 | 108 | კატანია-კოზენცა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 18.00 | 109 | სამპდორია-ვიჩენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 110 | ტერნანა-ტრიესტინა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 111 | ვენეცია-მესინა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 112 | ვერონა-ლეჩე | 2,45 | 2,6 | 3,1 | 1,26 | 1,36 | 1,41 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23.30 | 113 | ლივორნო-სიენა | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |

ესპანეთი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 00.30 | 136 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | [illegible] | 1,36 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 20.00 | 137 | ესპანიოლი-რაიო | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 138 | ვილიარეალი-უელვა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 139 | ბეტისი-ბილბაო | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 140 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 141 | რასინგი-მალაგა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 142 | ალავესი-ვალენსია | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 20.00 | 143 | რეალი-სევილია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 144 | რეალი-სევილია 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 21.00 | 145 | სოსიედადი-ბარსელონა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 23.30 | 146 | დეპორტივო-მალიორკა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |

ესპანეთი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 21.30 | 147 | ლევანტე-ტენერიფე | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 21.30 | 148 | სპორტინგი-ფეროლი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 01.00 | 149 | ლას პალმასი-ეიბარი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 15.00 | 150 | ალბასეტე-მურსია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 20.00 | 151 | ბადახოსი-სარაგოსა | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 152 | სალამანკა-კორდობა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 20.00 | 153 | ხერესი-კომპოსტელა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 20.00 | 154 | ტერასა-ალმერია | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 20.00 | 155 | ეხიდო-ლეგანესი | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| 20.00 | 156 | ელჩე-ოვიედო | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 20.00 | 157 | ნუმანსია-ხეტაფე | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 20.15 | 158 | მონაკო-პსჟ | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 159 | აიაჩო-ლე ავრი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 160 | ბასტია-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 23.00 | 161 | ნანტი-მონპელიე | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 162 | რენი-ლილი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 163 | სედანი-ნიცა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 164 | სოშო-ტროა | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |

1 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 165 | ლანსი-გენგამი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 21.00 | 166 | ლიონი-სტრასბური | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.45 | 167 | ოსერი-ბორდო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური

29 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 168 | მეცი-კანი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |

30 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 169 | ბოვე-ვალანსი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,12 | 1,25 | 1,75 |
| 23.00 | 170 | ისტრი-კლერმონი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
